

Պատերազմի շնչ Կարգի մեջ I

Minna no Nihongo I

みんなの 日本語

初級 I 翻訳・文法解説 英語版
Translation & Grammatical Notes



スリーイーネットワーク

ՄԱՐԳՅԱՆԻ ԸՆ
ԲՐԱՅԱՅԻՆԻԿՈՆ
ԲԱՆՁԱՐՏՎՈՅՑ

みんなの日本語初級I
翻訳・文法解説
ローマ字版【グルジア語】

Minna no Nihongo I

დაკონუსი ენა ყველას I
თარგმანი და გრამატიკის განმარტება



„ენა და იუკუსი“

თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი

გამოცემულია იაპონიის ფონდის დახმარებით.

საავტორო უფლების მფლობელია კორპორაცია 3A (suriē-nettowāku).
სახელმძღვანელოს გამოყენება და გაყიდვა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს
ტერიტორიაზე.

მთარგმნელი და შემდგენელი - მედეა გოცირიძე
რედაქტორები - იასუჰირო კოჯიმა, თამარ ზუბიაშვილი

ISBN 99940-23-15-2

トビリシ アジア・アフリカ大学

この教材は、独立行政法人国際交流基金の援助を受けて、制作されました。

著作権は株式会社スリーエーネットワークが有する。使用および発売はグルジア国内のみに限定する。

翻訳 ゴツイリゼ・メデア

校正 児島 康宏、ズビアシュვილი・タマリ

მთარგმნელისაგან

იაპონური ენის უცხოელებისათვის სწავლების სფეროში კარგადაა ცნობილი კორპორაცია 3A (sunii-nettowaku). ის მრავალმხრივ საქმიანობას ეწევა, რომელთა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია იაპონური ენის სახელმძღვანელოების დამუშავება და გამოცემა. მათ შექმნეს სახელმძღვანელო “განახლებული იაპონური ენის საფუძვლები” (shin nihongo no kiso), რომელმაც მაღალი შეფასება მიიღო. მას შემდეგ შეიქმნა იაპონური ენის სახელმძღვანელო დამწვებთათვის “იაპონური ენა ყველას” (minna no nihongo). ეს სახელმძღვანელო წინამორბედისაგან იმით განსხვავდება, რომ მიმართულია იაპონური ენის შესწავლის ყველა მსურველისათვის, და არა მხოლოდ გარკვეული დარგის სპეციალისტებისათვის. აღნიშნული წიგნის გამოშვებიდან ხუთი წელი გავიდა და უკვე იაპონური ენის ბევრი შემსწავლელი იყენებს მას, როგორც იაპონიაში, ისე მის გარეთ. ძირითადი წიგნი “იაპონური ენა ყველას” იაპონურ ენაზე დაწერილი. მისი “თარგმანი და გრამატიკის განმარტება” (hon'yaku bunpō kaisetsusho) 2003 წლის იანვრისათვის თერთმეტი ქვეყნის ენაზე იყო გამოცემული. სხვა ენებზე გაშლუშვეს “თარგმანი და გრამატიკის განმარტების” ერთი ნაწილი - “სიტყვების თარგმანი” (goiyaku). ქართულ ენაზეარის I ნაწილის “სიტყვების თარგმანი” (goiyaku).

აღნიშნული კორპორაციის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით, დავამუშავეთ და გაწვდით “იაპონური ენა ყველას P” “თარგმანი და გრამატიკის განმარტება”-ს ქართულად, ინგლისური ვარიანტისაგან ზოგიერთი განსხვავებით:

1. ყველა ზმნა მოცემულია ლექსიკონურ ფორმაში;
2. ზმნის ყველა ფორმა ახსნილია ლექსიკონურ ფორმაზე დაყრდნობით;
3. იმის გათვალისწინებით, რომ სტუდენტები სწავლობენ ენას არა იაპონურ გარემოში, ზოგიერთი ფორმის წარმოება დაწვრილებით არის ახსნილი.

წიგნი განსაზღვრულია თბილისის აზიისა და აფრიკი ინსტიტუტის იაპონური განყოფილების I კურსის სტუდენტებისათვის და განსხვავებებიც ამით არის გამოწვეული, თუმცა ეფიქრობთ ის იაპონური ენის შესწავლის სხვა მსურველებსაც გამოადგებათ.

წინასიტყვაობა

იაპონური ენის სახელმძღვანელო დამწვებთათვის – “იაპონური ენა ყველას” (minna no nihongo) შექმნილია ისე, რომ იაპონური ენის შესწავლის მსურველმა ნებისმიერმა პირმა ინტერესით შეისწავლოს ენა, მასწავლებელმა კი ხალისით ასწავლოს. მის შესაქმნელად 3 წელი დაგვიჭირდა. შედეგად მივიღეთ სახელმძღვანელო, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც დამოუკიდებლად, ასევე უკვე მაღალი შეფასების მქონე სახელმძღვანელოსთან “განახლებული იაპონური ენის საფუძვლები” (shin nihongo no kiso) ერთად.

როგორც იცით, “განახლებული იაპონური ენის საფუძვლები” არის მაღალეფექტური სასწავლო წიგნი იაპონური ენის შემსწავლელთათვის, რომელიც საშუალებას აძლევს მათ უმოკლეს დროში აითვისონ სალაპარაკო იაპონური ენა. ის ფართოდ გამოიყენება არა მარტო იაპონიაში, არამედ მის გარეთაც, თუმცა თავიდან შექმნილი იყო მხოლოდ ტექნიკური დარგის სტაჟორებისათვის.

იაპონიის ეკონომიკურმა და სამრეწველო განვითარებამ ახალ ეტაპზე გადაიყვანა მისი ურთიერთობა უცხო ქვეყნებთან. იაპონიაში ჩამოვიდა სხვადასხვა სპეციალობის ბევრი უცხოელი, სულ სხვადასხვა მიზნებით. ახლა ისინი ცხოვრობენ იაპონიაში, იაპონელებთან მჭიდრო კავშირში. იაპონური ენის სწავლების სოციალური მდგომარეობის შეცვლამ, რაც გამოწვეული იქნა უცხო ქვეყნებიდან ხალხის ჩამოსვლით, თავის მხრივ იმოქმედა იმ სიტუაციაზე, რომელშიც იაპონიაში იაპონური ენა ისწავლება. დღეს სხვადასხვა მიზნით იაპონური ენის შესწავლაზე მოთხოვნა მკვეთრად გაზრდილი, რაც განაპირობებს იაპონური ენის სწავლების დროს ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობას.

ამ ახალი პირობების გათვალისწინებით და მრავალი ადამიანის აზრისა და სურვილების საპასუხოდ, რომლებიც წამოიჭრა იაპონური ენის იაპონიაში და მის გარეთ სწავლების პროცესში, კორპორაცია 3A წარმოგიდგენთ სახელმძღვანელოს “იაპონური ენა ყველას”. ამ სახელმძღვანელოში გრძელდება “განახლებული იაპონური ენის საფუძვლებში” დანერგილი სწავლების მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ აღქმისა და გაგების სიმარტივეს. ამავე დროს სახელმძღვანელოში “იაპონური ენა ყველას” სცენები და პერსონაჟები უნივერსალურია, რათა შემსწავლელთა უფრო ფართო წრისათვის იყოს მისაღები. სახელმძღვანელოს შინაარსი საშუალებას აძლევს სრულიად განსხვავებულ შემსწავლელებს, სიამოვნებით ისწავლონ ენა.

“იაპონური ენა ყველას”, როგორც სახელიდანაც ჩანს, განკუთვნილია ყველასთვის, ვისაც სამუშაოზე უნივერსიტეტში, სკოლაში თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში იაპონურ ენაზე ურთიერთობისათვის, სასწრაფოდ ესაჭიროება იაპონური ენის სწავლა. მიუხედავად იმისა, რომ ეს შესავალი კურსია, ავტორები შეეცადნენ სახელმძღვანელოში მოცემული იაპონელი და უცხოელი პერსონაჟების ურთიერთობაში შეძლებისდაგვარად სინამდვილესთან ახლოს ეჩვენებინათ იაპონური ყოფა. წიგნი გათვლილია მათზე, ვისაც აქვს მიღებული განათლების

სრული კურსი, თუმცა შეიძლება გამოყენებული იქნას მათთვისაც, ვისაც სურს იაპონიაში უნივერსიტეტში სწავლა ან ტექნიკური სასწავლებლისა და უნივერსიტეტის მოკლე სასწავლო კურსებზე მოხვედრა.

კორპორაცია 3A-ს კოლექტივი აგრძელებს აქტიურ მუშაობას ახალი სახელმძღვანელოების გამოსაშვებად, რაც მოწოდებულია დააკმაყოფილოს ერთაგად მზარდი მოთხოვნა ენის შესწავლაზე. იმედი გვაქვს, რომ მკითხველები კვლავ ამოგვიდგებიან გვერდში, რასაც ჩვენ ძალიან ვაფასებთ.

დასასრულ მინდა ვახსენო მუშაობისას მიღებული საგრძნობი მხარდაჭერა კომენტარებისა და რეკომენდაციების სახით, აგრეთვე სახელმძღვანელოს გამოცდა რეალური მეცადინეობის დროს, რისთვისაც დიდად მადლობელი ვართ. კორპორაციას სურს მთელ მსოფლიოში გააფართოოს მეგობრული ურთიერთობები, იაპონური ენის სახელმძღვანელოების გამოცემის საშუალებით. იმედი გვაქვს, რომ ისინი, ვინც გვიცნობენ, შემდგომშიც მხარს დაგვიჭერენ ამ საქმიანობაში.

ივანე ოგავა
კორპორაცია 3A-ის პრეზიდენტი
2001წ. აგვისტო

სახელმძღვანელოს შესახებ

I სტრუქტურა

სახელმძღვანელო შედგება “ძირითადი წიგნის”, “თარგმანი და გრამატიკის განმარტებისა” და აუდიოკასეტებისაგან. “თარგმანი და გრამატიკის განმარტება” მრავალ ენაზეა გამოსული. ამჯერად გამოიცემა ქართულად.

სახელმძღვანელოში ძირითადად ყურადღება ექცევა იაპონური ენის მოსმენას, გაგებას და საუბარს. არ შეიცავს ჰირაგანა, კატაკანას და მითითებებს იეროგლიფების კითხვისათვის.

II შინაარსი და მეთოდოლოგია

1. ძირითადი წიგნი

1) იაპონური ბგერების წარმოთქმა

ამ განყოფილებაში მოცემულია იაპონური წარმოთქმების ძირითადი თავისებურებები.

2) მისალმება-დამშვიდობება, მადლიერების გამოხატვა, ბოდიშის მოხდა, საკლასო გამოთქმები და რიცხვები. აქ გვაქვს ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებული მისალმება-დამშვიდობების, მადლიერების გამომხატველი და ბოდიშის მოსახდელი გამოთქმები. მოცემულია აგრეთვე გამოთქმები, რომელსაც მასწავლებელი ხშირად იყენებს გაკვეთილის დროს, და რიცხვითი სახელები ნოლიდან ათამდე.

3) გაკვეთილები

სახელმძღვანელოში 25 გაკვეთილია, თითოეული მათგანი შეიცავს:

① წინადადების მოდელები **bunkē**

ისინი დალაგებულია იმ თანმიმდევრობით, რომლითაც გვხვდებიან შემდგომში.

② მაგალითები **rēbun**

წარმოადგენენ მინი-დიალოგებს, რომლებიც შედგება კითხვისა და პასუხისაგან. გეიჩვენებენ, თუ როგორ გამოიყენება წინადადების მოდელები პრაქტიკაში. აქ გვხვდება ახალი სიტყვები, თანდებულები და გრამატიკული ფორმები.

③ დიალოგი **kaiwa**

დიალოგებში იაპონიაში მყოფი უცხოელები სხვადასხვა სიტუაციაში ხვდებიან. აქ გამოყენებულია სასაუბრო ენაში დამკვიდრებული გამოთქმები. დიალოგები საკმაოდ მარტივია და სასურველია მათი დაზეპირება. თუ დრო საშუალებას გაძლევთ, ურთიერთობისათვის საჭირო ჩვენების დასახევწად განავითარეთ დიალოგი ახალი სიტყვების გამოყენებით, რომლებიც მოცემულია “თარგმანი და გრამატიკის განმარტების” ყველა გაკვეთილის დასაწყისში.

④ სავარჯიშო **renshū**

სავარჯიშოები გვაქვს სამი დონის A, B და C.

A წარმოადგენს ცხრილებს, რომელიც გაგიადვილებთ გაკვეთილში მოცემული

წინადადებების გრამატიკული სტრუქტურის გაგებას. გადმოცემის ასეთი ფორმა დაგეხმარებათ: წინადადებების ძირითადი ტიპების შეთვისებაში სიტყვების ჩანაცვლებით, აგრეთვე ზმნებისა და ზედსართავი სახელების ფორმების გარკვევაში მათი ცვლილების ცხრილის საშუალებით.

B-ში გვაქვს სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოები მიღებული ცოდნის გასაძლიერებლად, წინადადებების ძირითადი ტიპების შესათვისებლად. მიყევით იქ მოცემულ მითითებებს. ზოგან შეხედვით ნიშანს (ხელი), რომელიც მიგითითებთ სურათებზე.

C-ში მოცემული პატარა დიალოგები გიჩვენებთ, თუ როგორ გამოიყენება წინადადების ესა თუ ის მოდელი სინამდვილეში. ეს სავარჯიშო სასარგებლოა სასაუბრო ენის განვითარებისათვის. არ დაკმაყოფილდეთ მისი მხოლოდ წაკითხვით, გამეორებითა და სიტყვების ჩანაცვლებით. შეეცადეთ თქვენ თვითონაც მოიფიქროთ ჩასასმელი სიტყვები და განავითაროთ დიალოგი.

⑤ დამოუკიდებელი სამუშაო mondai

ორი ტიპის არის: 1.სმენის გასავარჯიშებელი (კასეტის მაჩვენებელი) 2.ნასწავლი სიტყვებისა და გრამატიკის ცოდნის შესამოწმებელი.

მოსასმენი სავარჯიშო თავის მხრივ ორი ტიპისაა: კითხვები, რომელზეც პასუხი უნდა გასცეთ და დიალოგები, რომლის მოსმენის შემდეგ უნდა აირჩიოთ მისი შესაფერისი სურათი ან სწორი დასკვნა. ამ სავარჯიშოთი შეგიძლიათ შეამოწმოთ სმენით რამდენად აღიქვამთ ნათქვამს. ნასწავლი სიტყვებისა და გრამატიკის ცოდნის შესამოწმებლად შემდეგი ტიპის დაგალებებია: სურათების მიხედვით წინადადების შედგენა; გამართული წინადადებისათვის შესაფერისი სიტყვისა თუ თანდებულის შერჩევა; მცირე ზომის ტექსტის წაკითხვა და სწორი პასუხის ამორჩევა და სხვა.

4) გამეორება fukushū

გარკვეული რაოდენობის გაკვეთილების გავლის შემდეგ მოცემულია სავარჯიშოები გამეორებისათვის. მათი საშუალებით შეგიძლიათ შეამოწმოთ, თუ რამდენად შეითვისეთ გავლილი გაკვეთილები.

5) წიგნის ბოლოს მოცემულია გრამატიკის შეჯამება: თანდებულები, ზმნის ფორმები, ზმნიზედები და კავშირები თითოეული გაკვეთილის წინადადებების მაგალითზე.

6) საძიებელი

გაკვეთილებში შემავალი სიტყვები და გამოთქმები დალაგებულია იაპონური ანბანის მიხედვით და მითითებული აქვს იმ გაკვეთილის ნომერი, რომელშიც ის პირველად შემოვიდა.

2. თარგმანი და გრამატიკის განმარტება.

- 1) იაპონური ენის ზოგადი დახასიათება, ბგერების წარმოთქმის და დამწერლობის სისტემის ძირითადი თავისებურებები.
- 2) საკლასო ოთახში გამოსაყენებელი ფრაზების, მისალმება-დამშვიდობების, მადლიერება-ბოდიშის მოხდის გამოთქმებისა და ნოლიდან ათამდე რიცხვების თარგმანი.
- 3) ყოველ 25 გაკვეთილში მოცემულია:
 - ① ახალი სიტყვები და მათი მნიშვნელობები;
 - ② წინადადების მოდელების მაგალითების და დიალოგების თარგმანი;
 - ③ გაკვეთილის თემის შესაბამისი დამატებითი სიტყვები, აგრეთვე ინფორმაცია იაპონიისა და იაპონური ტრადიციების შესახებ.
 - ④ გაკვეთილში მოცემული გრამატიკის განმარტება.
- 4) ძირითადი წიგნის ბოლოს დართული გრამატიკის შეჯამებაში: თანდებულების, გრამატიკული ფორმების, ზმნიზღების და კავშირების გამოყენებისათვის მოცემული მაგალითების თარგმანი.
- 5) რაოდენობის გამომხატველი სიტყვები მოცემული ცხრილებად, თელის სუფიქსები და ა.შ., მათ შორის ის ელემენტებიც, რომლებიც არ შესულა ძირითად წიგნში.
- 6) ზმნები დალაგებული ჯგუფების მიხედვით, მათი სხვადასხვა ფორმები და თარგმანი. აგრეთვე იმ ზმნების სია, რომლებიც ფორმით II ჯგუფისას ჰგვანან, მაგრამ I ჯგუფს მიეკუთვნებიან.

3. აუდიოკასეტები

ჩანაწერები შეიცავს ყოველი გაკვეთილის მიხედვით ახალ სიტყვებს, წინადადების მოდელებს, მაგალითებს, C სავარჯიშოს და დიალოგს. ცალკე კასეტაზეა წარმოდგენილი ძირითადი წიგნის თითოეული გაკვეთილის ბოლოს მოცემული დამოუკიდებელი საშუაოს შესაბამისი სმენის გასავარჯიშებელი ჩანაწერები.

ახალი სიტყვების, წინადადებების მოდელებისა და მაგალითების მოსმენისას ყურადღება მიაქციეთ წარმოთქმას და ინტონაციებს. C სავარჯიშოს მოსმენისას კი შეეცადეთ მიეჩვიოთ ბუნებრივი საუბრის ტემპს.

4. ლათინური ანბანის გამოყენება

1) ძირითადად გამოყენებულია ლათინური ანბანით ჩაწერის ჰეპბერნის სისტემა.

მარცვლოვანი ცხვირისმიერი ბგერა მოცემულია *n*-ით.

2) გრძელი ხმოვნები შემდეგნაირად არის მოცემული:

ā, ii, ū, ei(ē), ō

მაგ.: *okāsan* (დედა) *ōkii* (დიდი) *tokei* (საათი) *onēsan* (უფროსი და)

3) ადვილი წასაკითხი რომ ყოფილიყო, სიტყვებს შორის დატოვებულია ადგილი. თანდებულები

სიტყვისგან გამოყოფილად არის ჩაწერილი, იმ მაგალითების გამოკლებით, როდესაც თანდებული სიტყვას შეერწყა:

nanika (რადაც) **desukara** (ამრიგად, ამიტომ)

4) პრეფიქსები და სუფიქსები, მათ შორის თელის სუფიქსებიც სიტყვისგან ტირეთია გამოყოფილი, ასევე ტირეთია ჩაწერილი შედგენილი სიტყვები:

o-shigoto (სამუშაო) **tanaka-san** (ბატონი ტანაკა)

25-sai (25 წლის) **hana-ya** (ყვავილების მაღაზია)

benkyō-shimasu (მეცადინეობს)

ტირე არ არის იმ შემთხვევებში, როდესაც შედგენილი სიტყვა ერთ მთლიან სიტყვად გვევლინება:

hitotsu (ერთი) **hitori** (ერთი ადამიანი) **ocha** (ჩაი) **asagohan** (საუზმე) **oyasuminasai** (ღამე მშვიდობისა)

5) უცხო ენიდან შემოსული სიტყვები და უცხოელთა სახელები მათი იაპონურ ენაზე წარმოთქმის შესაბამისადაა ჩაწერილი:

pātii (წვეულება) **fōku** (ჩანგალი) **mirā-san** (ბატონი მილერი)

5. სხვადასხვა

1) სიტყვები, რომელთა გამოტოვებაც შეიძლება, ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში:

chichi wa 54[-sai] desu. (მამაჩემი 54 წლისაა.)

2) სინონიმები მრგვალ ფრჩხილებშია მოცემული:

dare (donata) (ეინ)

3) იქ, სადაც სხვადასხვა სიტყვის ჩასმა შესაძლებელი, კლაკნილი ხაზია:

— **wa ikaga desu ka.** (—ს ხომ არ ინებებდით?)

თუ ჩასასმელი სიტყვა რიცხვითი სახელია, მაშინ ტირე გვაქვს:

-sai (-წლის) **-en** (-იენი) **-jikan** (-საათის განმავლობა)

რჩევები სტუდენტებს

სახელმძღვანელოს ეფექტურად გამოყენებისათვის

1. ყურადღებით ისწავლეთ ყოველი ახალი სიტყვა

“თარგმანსა და გრამატიკის განმარტებაში” ყოველი გაკვეთილისათვის მოცემულია ახალი სიტყვები. პირველ რიგში მოუსმინეთ აუდიოკასეტაზე ჩაწერილ სიტყვებს, დაიმახსოვრეთ და მიაქციეთ ყურადღება მათ სწორ წარმოთქმას (მუსიკალურ აქცენტს). ახალი სიტყვებით შეეცადეთ შეადგინოთ წინადადებები. მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სიტყვის დამახსოვრება, არამედ ისიც, თუ როგორ გამოიყენება ის წინადადებაში.

2. იმუშავეთ წინადადებების მოდელებზე

დარწმუნდით, რომ თქვენ სწორედ გაიგეთ თითოეული მოდელის მნიშვნელობა. გააკეთეთ A და B სავარჯიშოები, სანამ წინადადებების მოდელებს სრულყოფილად არ აითვისებთ. წარმოთქვით წინადადებები ხმამაღლა, განსაკუთრებით B სავარჯიშოს შესრულებისას.

3. შეასრულეთ სავარჯიშოები სალაპარაკო ენის განვითარებისათვის

წინადადებების მოდელების შემდეგ, მოდის სავარჯიშო სალაპარაკო ენის განვითარებისათვის. დიალოგების მტკალითებში მოცემულია სხვადასხვა სიტუაციები, სადაც უცხოელს შეიძლება დასჭირდეს იაპონური ენა. დაიწყეთ სავარჯიშოების შესრულება, რომ მიეჩვიოთ მოდელს. შეეცადეთ არა მარტო დაიმახსოვროთ იქ გამოყენებული ფრაზები, არამედ განავრცოთ კიდევ. საუბრისას ყურადღება მიაქციეთ, რომელია სწორი გამონათქვამი მოცემულ სიტუაციაში.

4. უსმინეთ აუდიოკასეტებს

დიალოგებზე მუშაობისა და სავარჯიშოების შესრულებისას უსმინეთ ჩანაწერებს და ხმამაღლა წარმოთქვით წინადადებები, რათა დარწმუნდეთ, რომ თქვენ სწორად აითვისეთ წარმოთქმა და ინტონაცია. კასეტების მოსმენა ყველაზე ეფექტური საშუალებაა იაპონური ენის ხმოვანებისა და საუბრის ტემპის მისაჩვენებლად, აგრეთვე ენის მოსმენისა და გაგების უნარის განვითარებისათვის.

5. ნუ დაივიწყებთ, გაიმეორეთ და მოემზადეთ

ახსნილი მასალა რომ არ დაგავიწყდეთ, იმავე დღეს გაიმეორეთ. შეასრულეთ ყოველი გაკვეთილის ბოლოს მოცემული დავალებები, რათა შეამოწმოთ, რამდენად აითვისეთ გაკვეთილში მოცემული მასალა და რამდენად შეგიძლიათ მოისმინოთ და გაიგოთ იაპონური ენა. გარდა ამისა, თუ თქვენ გაქვთ დრო, გადახედეთ შემდეგი გაკვეთილის სიტყვებს და გრამატიკის განმარტებას. მეცადინეობა შედეგიანი რომ იყოს, საჭიროა მომზადება.

6. გამოიყენეთ ნასწავლი მასალა

სწავლისას არ შემოიფარგლოთ მხოლოდ აუდიტორიით, შეეცადეთ ელაპარაკოთ იაპონელებს. ნასწავლი მასალის პრაქტიკული გამოყენება წარმატებისაკენ საუკეთესო გზაა. თუ თქვენ ისწავლით ამ რჩევების გათვალისწინებით, შეძლებთ აითვისოთ ძირითადი ლექსიკა და გამოთქმები, რომლებიც საჭიროა იაპონიაში ყოველდღიური ცხოვრებისას.

მოქმედი პირები დიალოგებში

მაიკ მილერი	IMC ფირმის თანამშრომელი, ამერიკელი
სატოო კეიკო	IMC ფირმის თანამშრომელი, იაპონელი
ჯოს სანტოსი	“ბრაზილ აირ“-ის თანამშრომელი, ბრაზილიელი
მარია სანტოსი	დიასახლისი, ბრაზილიელი
კარინა	ჰუჯის უნივერსიტეტის სტუდენტი, ინდონეზიელი
ვანგ შვე	კობეს საავადმყოფოს ექიმი, ჩინელი
იამადა იჩირო	IMC ფირმის თანამშრომელი, იაპონელი
იამადა ტომოკო	ბანკის თანამშრომელი, იაპონელი
მაცუმოტო ტადაში	IMC ფირმის იაპონური განყოფილების უფროსი, იაპონელი
მაცუმოტო იოშიკო	დიასახლისი, იაპონელი
კიმურა იძუმი	დიქტორი, იაპონელი

სხვა პერსონაჟები

ვატი	საკურას უნივერსიტეტის მასწავლებელი, ინგლისელი
შიიდტი	კომპანია “პოვერ ელექტრიკ“-ის ინჟინერი, გერმანელი
ი	AKC-ს მკვლევარი, კორეელი
ტერესა	სკოლის მოსწავლე (9 წლის), ჯოს და მარია სანტოსების ქალიშვილი, ბრაზილიელი
ტაროო	სკოლის მოსწავლე (8 წლის), იჩირო და ტომოკო იამადების ვაჟიშვილი
გუპტა	IMC ფირმის თანამშრომელი, ინდოელი
ტავაპონი	იაპონური ენის სკოლის სტუდენტი, ტაილანდელი
IMC	კომპიუტერული პროგრამების ფირმა
AKC	აზიის კვლევის ცენტრი
(ajia-kenkyū-sentā)	

შინაარსი

შესავალი I იაპონური ენის ზოგადი დახასიათება II იაპონური დამწერლობა III იაპონური ენის ბგერების გამოთქმა	XIX გვ.
შესავალი ბაკვეთილი I წარმოთქმა II ფრაზები საკლასო ოთახისათვის III ყოველდღიური ფრაზები IV რიცხვები	XXVI გვ.
ბამოყენებული ტერმინები	XXVIII გვ.
შემოკლებები	XXIV გვ.
პირველი ბაკვეთილი (1) I. სიტყვები და გამოთქმები II. თარგმანი წინადადების მოდულები და მაგალითები დიალოგი: <i>სასიამოვნოა თქვენი გაცნობა</i> III. დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: ქვეყანა ალამიანი ენა	გვ. 1 IV. გრამატიკა 1. ა1 wa ა2 desu 2. ა1 wa ა2 ja arimasen 3. ♡ ka 4. ა mo 5. ა1 no ა2 6. ~ san
მეორე ბაკვეთილი (2) I. სიტყვები და გამოთქმები II. თარგმანი წინადადების მოდულები და მაგალითები დიალოგი: <i>მიიღეთ ჩემი კეთილგანწყობის ნიშნად</i> III. დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: გვარები	გვ. 7 IV. გრამატიკა 1. kore, sore, are 2. kono ა, sono ა, ano ა 3. sō desu / sō ja arimasen 4. ♡1 ka, ♡2 ka 5. ა1 no ა2 6. sō desuka

<p>მესამე ბაკვეთილი (3)</p> <p>I.სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II.თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები დიალოგი: <i>ეს მომეცით, თუ შეიძლება</i></p> <p>III.დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: უნივერსალი</p>	<p style="text-align: right;">გვ. 13</p> <p>IV. გრამატიკა</p> <p>1.koko, soko, asoko, kochira, sochira, achira</p> <p>2. ა1 wa ა2 (ადგილი) desu</p> <p>3. doko, dochira</p> <p>4. ა1 no ა2</p> <p>5. ko, so, a, do</p> <p>ჩვენებითი ნაცვალსახელების სისტემა</p> <p>6. o-kuni</p>
<p>მეოთხე ბაკვეთილი (4)</p> <p>I.სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II.თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები დიალოგი: <i>რომელი საათიდან რომელ საათამდე მუშაობთ?</i></p> <p>III.დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: ტელეფონი, წერილი</p>	<p style="text-align: right;">გვ. 19</p> <p>IV. გრამატიკა</p> <p>1. ზმნა</p> <p>2. ზმნის masu ფორმა</p> <p>3. ima ~ji ~fun desu</p> <p>4. ა (დრო) ni ზ</p> <p>5. ა1 kara ა2 made</p> <p>6. ა1 to ა2</p> <p>7. ♡ ne</p>
<p>მეხუთე ბაკვეთილი (5)</p> <p>I.სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II.თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები დიალოგი: <i>ეს მატარებელი კოოშიენამდე მიდის?</i></p> <p>III.დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია სახელმწიფო დღესასწაულები</p>	<p style="text-align: right;">გვ. 27</p> <p>IV. გრამატიკა</p> <p>1. ა(ადგილი)e ikimasu / kimasu / kaerimasu</p> <p>2. doko [e] mo ikimasen / ikimasendeshita</p> <p>3. ა (გრანსპ.) de ikimasu / kimasu / kaerimasu</p> <p>4. ა (ადამიანი / ცხოველი) to ზ</p> <p>5. itsu</p> <p>6. ♡ yo</p>

<p>მეექვსე ბაკვეთილი (6)</p> <p>I. სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II. თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები</p> <p>დიალოგი:</p> <p><i>წამოხვალთ ხვენტან ერთად?</i></p> <p>III. დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია:</p> <p>სურსათი</p>	<p style="text-align: right;">გვ. 33</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ა ი ზ (გარდამავალი) 2. ა ი shimasu 3. nani o shimasuka 4. nan და nani 5. ა (აღვილი) de ზ 6. ზ (masu ფუძე) masen ka 7. ზ (masu ფუძე) mashō 8. ი ~
<p>მეშვიდე ბაკვეთილი (7)</p> <p>I. სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II. თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები</p> <p>დიალოგი:</p> <p><i>შეიძლება შემოვიდე?</i></p> <p>III. დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია:</p> <p>ოჯახი</p>	<p style="text-align: right;">გვ. 39</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ა (საშუალება) de ზ 2. (სიტყვა) wa ~go de nan desuka 3. ა (პირი) ni agemasu და ა. შ. 4. ა (პირი) ni moraimasu და ა. შ. 5. mō ზ mashita
<p>მერვე ბაკვეთილი (8)</p> <p>I. სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II. თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები</p> <p>დიალოგი:</p> <p><i>უკვე წახვლის დროა</i></p> <p>III. დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია:</p> <p>შერი და ბემო</p>	<p style="text-align: right;">გვ. 45</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ზედსართავი სახელი (ზდ.სხ.) 2. ზედსართავი სახელით ნაწარმოები შემასმენელი 3. na-ზდ.სხ. ა 4. totemo / amari 5. ა wa dō desu ka 6. ა₁ wa donna ა₂ desu ka 7. ♯₁ ga ♯₂ 8. dore

<p>მეცხრე ბაკვეთილი (9)</p> <p>I.სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II.თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები დიალოგი: <i>რა დასაზნანია</i></p> <p>III.დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: მუსიკა კინო სპორტი</p>	<p style="text-align: right;">გვ. 51</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. <i>ga arimasu / wakarimasu</i> 2. <i>ga suki desu / kirai desu / jōzu desu / heta desu</i> 3. <i>donna ga</i> 4. <i>yoku/daitai/takusan/sukoshi/amari/zenzen</i> 5. <i>¥1 kara ¥2</i> 6. <i>dōshite</i>
<p>მეათე ბაკვეთილი (10)</p> <p>I.სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II.თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები დიალოგი: <i>წიწკიანი საწებელა ხომ არა გაქვთ?</i></p> <p>III.დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: სახლში</p>	<p style="text-align: right;">გვ. 57</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. <i>ga arimasu / imasu</i> 2. <i>ga1 (ადგილი) ni ga2 arimasu / imasu</i> 3. <i>ga1 wa ga2 (ადგილი) ni arimasu / imasu</i> 4. <i>ga1(ნივთი/პიროვნება/ადგილი) no ga2 (მდებარეობა)</i> 5. <i>ga1 ya ga2</i> 6. სიტყვა ან <i>desu ka</i> 7. <i>chiri-sōsu wa arimasen ka</i>
<p>მეთერთმეტე ბაკვეთილი (11)</p> <p>I.სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II.თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები დიალოგი: <i>გემით გაავ ზაენეთ, თუ შეიძლება</i></p> <p>III.დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: კერძები (მენიუ)</p>	<p style="text-align: right;">გვ. 63</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. თვლა 2. დროის გარემოება <i>ni ~kai wa</i> 3. <i>dake</i>

<p>მეთორმეტე ბაკვეთილი (12)</p> <p>I.სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II.თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები დიალოგი:</p> <p><i>დღესასწაული როგორ მოგეწონათ?</i></p> <p>III.დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: დღესასწაულები და ცნობილი ადგილები</p>	<p style="text-align: right;">გვ. 69</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> წარსული დრო ა1 wa ა2 yori ზდ.სხ. desu ა1 to ა2 to dochira ga ზდ.სხ. desu ka ა1/ ა2 no hō ga ზდ.სხ. desu ა1 [no naka] de კითხვითი სიტყვა ga ichiban ზდ.სხ. desu ka ა2 ga ichiban ზდ.სხ. desu
<p>მეცამეტე ბაკვეთილი (13)</p> <p>I.სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II.თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები დიალოგი:</p> <p><i>ცალცალკე თუ შეიძლება</i></p> <p>III.დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: ქალაქში</p>	<p style="text-align: right;">გვ. 75</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> ა ga hoshii desu ზ masu-ფუძე tai desu ა (ადგილი) e ზ (masu-ფორმა) ni ikimasu / kimasu / kaerimasu ა ni ზ / ა o ზ dokokā / nanika go-chyūmon
<p>მეთოთხმეტე ბაკვეთილი (14)</p> <p>I.სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II.თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები დიალოგი:</p> <p><i>უმედამდე მიმიყვანეთ, თუ შეიძლება</i></p> <p>III.დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: საღებური</p>	<p style="text-align: right;">გვ. 81</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> ზმნის te ფორმა ზ (te-ფორმა) kudasai ზ (te-ფორმა) imasu ზ (masu-ფუძე) mashō ka ა1 ga, ა2 ა ga ზ
<p>მეთხუთმეტე ბაკვეთილი (15)</p> <p>I.სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II.თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები დიალოგი:</p> <p><i>მომიყვით თქვენი ოჯახის შესახებ</i></p> <p>III.დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: საქმიანობა</p>	<p style="text-align: right;">გვ. 87</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> ზ (te-ფორმა) mo ii desu ზ (te-ფორმა) wa ikemasen ზ (te-ფორმა) imasu ზ (te-ფორმა) imasu shirimasen

<p>მეთექვსმეტე ბაკვეთილი (16)</p> <p>I. სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II. თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები</p> <p>დიალოგი:</p> <p><i>თუ შეიძლება ამიხსენით, როგორ ვისარგებლო ამ აპარატით?</i></p> <p>III. დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: როგორ ვისარგებლოთ ბანკომატით</p>	<p style="text-align: right;">გვ. 93</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ~ ზ1 (te ფორმა) ~ ზ2 (te ფორმა) ~ ზი 2. i-ზდ.სხ. (i-ს გარეშე) kute, ~ 3. ~ ა de, ~ ~na ზდ.სხ. (na-ს გარეშე) de, ~ 4. ~ ზ1 (te ფორმა) kara, ~ ზ2 5. ა1 wa ა2 ga ზდ.სხ. desu 6. dōyatte 7. dono ა
<p>მეჩვიდმეტე ბაკვეთილი (17)</p> <p>I. სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II. თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები</p> <p>დიალოგი:</p> <p><i>რაშია საქმე?</i></p> <p>III. დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: სხეული და დაავადებები</p>	<p style="text-align: right;">გვ. 99</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ზ nai-ფუძე 2. ზ (nai-ფუძე) nai de kudasai 3. ზ (nai-ფუძე) nakereba narimasen 4. ზ (nai-ფუძე) nakute mo ii desu 5. ა(ობიექტი) wa 6. ა (დრო) made ni ზ
<p>მეთვრამეტე ბაკვეთილი (18)</p> <p>I. სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II. თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები</p> <p>დიალოგი:</p> <p><i>რა არის თქვენი პობი?</i></p> <p>III. დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: მოქმედებები</p>	<p style="text-align: right;">გვ. 105</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ზმნის ლექსიკონური ფორმა 2. ა ga dekimasu ზ(ლექ. ფორმა) koto ga dekimasu 3. watashi no shyumi wa ა desu watashi no shyumi wa ზ (ლექ. ფორმა) koto desu 4. ზ1 (ლექ. ფორმა) mae ni, ზ2 ა no mae ni, ზ თვლადი პერიოდი mae ni, ზ 5. nakanaka 6. zehi

<p>მეცხრამეტე ბაკვეთილი (19)</p> <p>I.სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II.თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები დიალოგი: <i>ხვალღან დიეტაზე ვარ</i></p> <p>III.დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: ტრადიციები, კულტურა, ბართობა</p>	<p style="text-align: right;">გვ. 111</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ზ ta-ფორმა 2. ზ (ta-ფორმა) koto ga arimasu 3. ზ1(ta-ფორმა) ri, ზ2(ta-ფორმა) ri და ა. შ. shimasu 4. i-ზღ.სხ.(i-გარეშე) ku narimasu na-ზღ.სხ.(na-ს გარეშე) ni narimasu ა ni narimasu 5. sō desu ne
<p>მეოცე ბაკვეთილი (20)</p> <p>I.სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II.თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები დიალოგი: <i>ზაფხულის არდადეგებზე რას აკეთებ?</i></p> <p>III.დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: ვის რ(ო)ბორ მივმართოთ</p>	<p style="text-align: right;">გვ. 117</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. თავაზიანი და უბრალო სტილი 2. უბრალო ფორმა 3. kedo
<p>ოცდამეერთე ბაკვეთილი (21)</p> <p>I.სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II.თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები დიალოგი: <i>მეც ასე ვეფიქრობ</i></p> <p>III.დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: მღბომარეობა საზოგადოებაში</p>	<p style="text-align: right;">გვ. 123</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ♯(უბრალო ფორმა) to omoimasu 2. ♯(უბრალო ფორმა) to iimasu 3. ზ (უბრალო ფორმა) deshō? i-სდ.სხ. (უბრალო ფორმა) deshō? na-სდ.სხ. (უბრალო ფორმა) deshō? ა deshō? 4. ა1(ადგილი) de ა2 ga arimasu 5. ა(ღონისძიება) de 6. ა demo ზ 7. ზ (nai-ფორმა) nai to ...

<p>ოცდამეორე ბაკვეთილი (22)</p> <p>I. სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II. თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები დიალოგი:</p> <p><i>როგორი ბინა გნებავთ?</i></p> <p>III. დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: ტანსაცმელი</p>	<p style="text-align: right;">გვ. 129</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. არსებითი სახელის განსაზღვრება 2. ა ga 3. ზ(ლექსიკ. ფორმა) jikan / yakusoku / yōji
<p>ოცდამესამე ბაკვეთილი (23)</p> <p>I. სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II. თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები დიალოგი:</p> <p><i>როგორ მოვიდე?</i></p> <p>III. დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: გზები და მიმოსვლა</p>	<p style="text-align: right;">გვ. 135</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ზ(უბრალო ფორმა) toki, ~ i-ზდ.სხ. toki, ~ na ზდ.სხ. na toki, ~ ა no toki, ~ 2. ზ(ეხლანდელი დრო) toki~ უბრალო ფორმა ზ(წარსული დრო) toki~ უბრალო ფორმა 3. ზ(ლექსიკონური ფორმა) to, ~ 4. ა ga ზდ. სხ. / ზ . 5. ა(ადგილი) ი ზ(მოქ. გამომხატ.)
<p>ოცდამეოთხე ბაკვეთილი (24)</p> <p>I. სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II. თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები დიალოგი:</p> <p><i>მომეხმარებით?</i></p> <p>III. დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია: საჩუქრების გაცვლის ტრადიცია</p>	<p style="text-align: right;">გვ. 141</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. kuremasu 2. ზ(te-ფორმა) agemasu ზ(te-ფორმა) moraimasu ზ(te-ფორმა) kuremasu

<p>ოცდამეხუთე ბაკვეთილი (25)</p> <p>I. სიტყვები და გამოთქმები</p> <p>II. თარგმანი</p> <p>წინადადების მოდელები და მაგალითები</p> <p>დიალოგი:</p> <p><i>კმადლობთ ჩემზე ზრუნვისათვის</i></p> <p>III. დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია:</p> <p>ალაგვიანის სიცოცხლე</p>	<p style="text-align: right;">გვ. 147</p> <p>IV. გრამატიკა</p> <ol style="list-style-type: none"> 1. წარსულის უბრალო ფორმა ra, ~ 2. ზ(ta-ფორმა) ra, ~ 3. ზ(te-ფორმა) mo, ~ <li style="padding-left: 20px;">i-ზდ.სხ.(i-ს გარეშე) kute mo, ~ <li style="padding-left: 20px;">na-ზდ.სხ.(na-ს გარეშე) + de mo, ~ <li style="padding-left: 20px;">ა de mo, ~ <p>4. ა ga</p>
<p>შეჯამება</p> <p>I თანდებულები</p> <p>II როგორ გამოვიყენოთ ფორმები</p> <p>III ზმნიზედები და მისი შემცველი</p> <p>გამოთქმები</p> <p>IV კავშირები</p>	<p style="text-align: right;">გვ. 153</p>
<p>ღანართი</p> <p>I რიცხვები</p> <p>II დროის გამომხატველი სიტყვები</p> <p>III პერიოდის გამომხატველი</p> <p>სიტყვები</p> <p>IV თვლის სუფიქსები</p> <p>V ზმნების უღლება</p> <p>VI I ჯგუფის ზმნები, რომლებიც ფორმით</p> <p>II ჯგუფისას გვანან</p>	<p style="text-align: right;">გვ. 164</p>

შესავალი

I იაპონური ენის ზოგადი დახასიათება

1. მეტყველების ნაწილები

იაპონურ ენაში მეტყველების ნაწილებია: ზმნა, ზედსართავი სახელი, არსებითი სახელი, ზმნიზედა, კავშირი და თანდებული. დასაშვებია მეტყველების ნაწილების უფრო დაწვრილებით დაყოფა, მაგრამ ნაცვალსახელები ან რიცხვითი სახელები იაპონურ ენაში გრამატიკული თვალსაზრისით არ განსხვავდება არსებითი სახელისაგან. ამდენად შეიძლება მათი არსებითი სახელების ჯგუფისათვის მიკუთვნება.

2. სიტყვათა წყობა

შემასმენელი ყოველთვის დგას წინადადების ბოლოს. განსაზღვრება მოდის განსაზღვრულის წინ.

3. შემასმენელი

იაპონურ ენაში არის 3 ტიპის შემასმენელი: ა) არსებითი სახელით, ბ) ზმნით, გ) ზედსართავი სახელით გამოხატული. შემასმენელმა შეიძლება მიიღოს შემდეგი ფორმები: (1) მტკიცებითი და უარყოფითი, (2) ახლანდელი-მომავალი ან წარსული დრო.

ზედსართავი სახელები თავისი ცვლილების ტიპის მიხედვით 2 ჯგუფად იყოფა: i და na ზედსართავი სახელები.

იაპონურ ენაში სიტყვები არ იცვლება პირის, რიცხვის და სქესის მიხედვით.

4. თანდებულები და ნაწილაკები

თანდებული ერთვის სიტყვას და გვიჩვენებს ამ სიტყვის დამოკიდებულებას სხვა წინადადების წევრების მიმართ, ან მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ნაწილაკები აკავშირებენ ორ წინადადებას ან ანიჭებენ წინადადებას გარკვეულ ხასიათს.

5. გამოტოვება

სიტყვა, ან სიტყვათშეთანხმება ხშირად გამოიტოვება, როცა ის კონტექსტის მიხედვით ისედაც გასაგებია, და არ არის აუცილებელი მისი პირდაპირ ხსენება.

შეიძლება გამოტოვებული იყოს ქვემდებარე ან შემასმენელიც კი.

II იაპონური დამწერლობა

იაპონურ დამწერლობაში გამოიყენება სამი სხვადასხვა ტიპის დამწერლობა: ჰირაგანა, კატაკანა და კანჯი (ჩინური იეროგლიფები). ჰირაგანა და კატაკანა მარცვლოვანი ანბანია. ანბანის თითოეული ასო ერთი მორაა (მორა – ხმოვანების ერთეული, იხ. ამ თავის III ნაწ.). იეროგლიფები გადმოგვცემენ როგორც ხმოვანებას, ასევე მნიშვნელობას.

წერილობითი იაპონური ენა არის 3 ტიპის ნიშნების კომბინაცია. კატაკანა გამოიყენება უცხო სახელებისა და ნასესხები უცხო სიტყვების დასაწერად. 1945 იეროგლიფი დამტკიცებულია, როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში აუცილებელი. ჰირაგანათი კი იწერება გრამატიკული თანდებულები ნაწილაკები, სიტყვათა ცვალებადი ნაწილები და ა. შ. ამ 3 ტიპის დამწერლობის გარდა უცხოელებისათვის კითხვის გასაადვილებლად ხანდახან მიმართავენ რომმაჯის (ლათინური ასოები). იაპონიაში შეიძლება შეხვდეთ რომმაჯით დაწერილ სადგურის დასახელებებს, გზის მაჩვენებლებს. ქვემოთ მოყვანილია ამ ოთხივე დამწერლობის მაგალითები:

田中	さん	は	ミラー	さん	と	デパート	へ	行	きます。
0	1	1	Δ	1	1	Δ	1	0	1

ბატონი ტანაკა ბატონ მილერთან ერთად უნივერსიტეტში მიდის.

大阪	ōsaka
0	□

(0-იეროგლიფები, 1-ჰირაგანა, Δ-კატაკანა, □-რომმაჯი)

III ითაპონური ენის ბგერების გამოთქმა

1. კანა და მორა

	სვეტი ა	სვეტი ი	სვეტი უ	სვეტი ე	სვეტი ო	ა-პირადანა ა-კატაკანა a-როლომაჯი		
როგო ა	あ ア a	い イ i	う ウ u	え エ e	お オ o			
როგო კა	か カ ka	き キ ki	く ク ku	け ケ ke	こ コ ko	きゃ キャ kya	きゅ キュ kyu	きょ キョ kyo
როგო სა	さ サ sa	し シ shi	す ス su	せ セ se	そ ソ so	しゃ シャ sha	しゅ シュ shu	しょ ショ sho
როგო ტა	た タ ta	ち チ chi	つ ツ tsu	て テ te	と ト to	ちゃ チャ cha	ちゅ チュ chu	ちょ チョ cho
როგო ნა	な ナ na	に ニ ni	ぬ ヌ nu	ね ネ ne	の ノ no	にゃ ニャ nya	にゅ ニュ nyu	にょ ニョ nyo
როგო ჰა	は ハ ha	ひ ヒ hi	ふ フ fu	へ ヘ he	ほ ホ ho	ひゃ ヒャ hya	ひゅ ヒュ hyu	ひょ ヒョ hyo
როგო მა	ま マ ma	み ミ mi	む ム mu	め メ me	も モ mo	みゃ ミャ mya	みゅ ミュ myu	みょ ミョ myo
როგო ყა	や ヤ ya	(い イ) (i)	ゆ ユ yu	(え エ) (e)	よ ヨ yo			
როგო რა	ら ラ ra	り リ ri	る ル ru	れ レ re	ろ ロ ro	りゃ リャ rya	りゅ リュ ryu	りょ リョ ryo
როგო ვა	わ ワ wa	(い イ) (i)	(う ウ) (u)	(え エ) (e)	を ヲ o			
	ん ン n							
როგო გა	が ガ ga	ぎ ギ gi	ぐ グ gu	げ ゲ ge	ご ゴ go	ぎゃ ギャ gya	ぎゅ ギュ gyu	ぎょ ギョ gyo
როგო ჯა	ざ ザ za	じ ジ ji	ず ズ zu	ぜ ゼ ze	ぞ ゾ zo	じゃ ジャ ja	じゅ ジュ ju	じょ ジョ jo
როგო და	だ ダ da	ぢ チ ji	づ ツ zu	で デ de	ど ド do			
როგო ბა	ば バ ba	び ビ bi	ぶ ブ bu	べ ベ be	ぼ ボ bo	びゃ ビャ bya	びゅ ビュ byu	びょ ビョ byo
როგო პა	ぱ パ pa	ぴ ピ pi	ぷ プ pu	ぺ ペ pe	ぽ ポ po	ぴゃ ピャ pya	ぴゅ ピュ pyu	ぴょ ピョ pyo

ქვემოთ მოცემული ასოები ზემოთ ცხრილში არ არის. ისინი გამოიყენება ისეთი მარცვლების ჩასაწერად, რომლებიც იაპონური ენისათვის არ არის დამახასიათებელი, და გვხვდება მხოლოდ უცხოური წარმოშობის სიტყვებში.

ツア tsa	ウイ wi	トウ tu	ウエ we	ウオ wo
ファ fa	テイ ti	ドウ du	シェ she	ツオ tso
	フィ fi	デュ dyu	チェ che	フォ fo
	ディ di		ツエ tse	
			フェ fe	
			ジェ je	

იაპონური ენის ფონეტიკური სისტემა ეყარება ხუთ ხმოვან ბგერას: **a, i, u, e, o** (იხ. ყველა ცხრილი წინა გვერდზე), მარცვალი მათ საფუძველზეა შექმნილი. ეს ხმოვნები გამოიყენება ან დამოუკიდებლად ან თანხმოვანთან და ნახევარხმოვან “y”-სთან ერთად მაგ.: **(k+y+a= ick)**. გამონაკლისს წარმოადგენს მორამარცვალ-წარმომქმნელი ბგერა **n**, რომელსაც არ ახლავს ხმოვანი. ყველა ეს ბგერები ერთნაირი სიგრძით წარმოითქმის.

შენიშვნა 1. მორა (ტაქტი) – ხმოვანების გრძლიობის ერთეული იაპონურ ენაში.
შენიშვნა 2. იაპონური ენის სიტყვების უღერადობის ჩასაწერად გამოიყენება მარცვლოვანი ანბანი კანა (იხ. კანა და მორა წინა გვერდზე) კანას ერთი ასო ანდა ამ ასოს შეთანხმება კიდევ ერთ პატარა ასოსთან (მაგ.: ick) როგორც წესი შეესაბამება ერთ მორას.

2. გრძელი ხმოვნები

გრძელი ხმოვნები ჩვეულებრივ **a, i, u, e, o** ხმოვნებთან შედარებით ორჯერ მეტ ხანს უღერენ. თუ **a** ხმოვნის გრძლიობას ავიღებთ გრძლიობის ერთეულად, გრძელი **aa** ხმოვნის გრძლიობა ორი ერთეულის ტოლი იქნება. ეს ნიშნავს, რომ **a** ბგერის გრძლიობა ერთი მორაა, ხოლო **aa** ბგერისა კი ორი.

შენიშვნა

გრძელი ხმოვნების ჩაწერა rōmaji-თ

ხმოვანს გაგრძელებისათვის თავზე ხაზი უკეთდება, გარდა **i** და ზოგ შემთხვევაში **e** ხმოვანისა:

მოკლე ხმოვნები:	a	i	u	e	o
გრძელი ხმოვნები:	ā	ī	ū	ē	ō

ē გამოიყენება ზოგიერთ სიტყვებში, როგორიცაა:
ē (ღიახ) **nē** (არა?) **onēsan** (უფროსი და)
ē გამოიყენება აგრეთვე ნასესხებ სიტყვებში: **kēki** (ნამცხეარი)

იაპონურ ენაში ხმოვნის გრძლიობით იცვლება სიტყვის მნიშვნელობა. მაგ.:

obasan (დეიდა, მამიდა) : obāsan (ბებია) ojisan (ბიძა) : ojiisan (ბაბუა)

yuki (თოვლი) : yūki (სიმამაცე) e (სურათი) : ē (დიახ)

toru (აღება) : tōru (გაგება) koko (აკ) : kōkō (სკოლის დამამთავრებელი კლასები)

heya (ოთახი) : heiya (ვაკე, დაბლობი)

kādo (ბარათი) takushii (ტაქსი) sūpā (სუპერმარკეტი)

tēpu (ლენტი) nōto (რვეული)

3. n (ㄣ)-ს წარმოთქმა

n (ㄣ) არასდროს გვხვდება სიტყვის დასაწყისში. ეს ბგერა თავისთავად წარმოადგენს ერთ მორას. მისი წარმოთქმა იცვლება იმასთან დაკავშირებით, თუ რა ბგერა მოსდევს მას.

1) წარმოთქმის, როგორც /n/ ta, da, ra, na რიგის მარცვლების წინ.

hantai (საწინააღმდეგო) undō (ფიზიკური ვარჯიში) senro (ლიანდაგი)
minna (ყველა)

2) წარმოთქმის, როგორც /m/ ba, pa, ma რიგის მარცვლების წინ.

shinbun (გაზეთი) enpitsu (ფანქარი) unmei (ბელი)

3) წარმოთქმის, როგორც /ŋ/ ka, და ga რიგის მარცვლების წინ.

tenki (ამინდი) kengaku (დათვალიერება)

4. ორმაგი თანხმოვნები

k, s, t თანხმოვნები ზოგჯერ ორმაგდება. ნასესხები სიტყვების ჩაწერისას კი z, d თანხმოვნებიც გვხვდება ორმაგი. თანხმოვნების გაორმაგებით სიტყვის მნიშვნელობა იცვლება:

buka (ქვეშევრდომი) bukka (ფასები)

kasai (ხანძარი) kassai (ოვაცია)

oto (ხმა) otto (ქმარი)

nikki (დღიური) zasshi (ეურნალი) kitte (მარკა)

ippai (ერთი ჭიქა) koppu (ჭიქა) beddo (საწოლი)

5. თანხმოვანი + ya, yu, yo

ბგერები kya, kyu, kyo ან gya, gyu, gyo ითვლება ერთ მორად.

hyaku (ასი) (hya-ku 2 მორა)

hiyaku (გადახტომა) (hi-ya-ku 3 მორა)

6. ga რიგის მარცვლების წარმოთქმა სიტყვებში

როდესაც ამ რიგის მარცვალი სიტყვის დასაწყისშია, მისი თანმოვანი გამოითქმის როგორც /g/, სიტყვის შუაში ან ბოლოში კი, როგორც /ŋ/. ბოლო დროს ზოგიერთი იაპონელი /g/ -ს და /ŋ/ -ს არ ასხვავებს და ორივეს გამოთქვამს, როგორც /g/.

7. i და u ხმოვნების კვეცა

ეს ხმოვნები იკვეცება და თითქმის არ ისმის, როდესაც ისინი ყრუ თანხმოვნებს შორის არიან. u ხმოვანი აგრეთვე იკვეცება ~desu და ~masu დაბოლოებების ბოლოკიდურ su მარცვალში.

suki (მოსწონს) shītai desu (მინდა გავაკეთო) kikimasu (უსმენს)

8. აქცენტი

იაპონურ ენაში მუსიკალური აქცენტიან, ანუ სიტყვაში ზოგიერთი მორები წარმოითქმის მაღალი ტონით, ზოგიერთი კი დაბალით. სიტყვები იმის მიხედვით, მათში ტონი მაღლდება თუ დაბლდება, იყოფა 2 ტიპად. თავის მხრივ სიტყვები, მათში ტონის დადაბლებით იყოფა კიდევ 3 ტიპად იმის მიხედვით, რომელ ადგილას ხდება ტონის დადაბლება. სტანდარტული იაპონური აქცენტი ხასიათდება იმით, რომ პირველი და მეორე მორა სხვადასხვა ტონისაა. გარდა ამისა, თუ სიტყვაში ტონი ერთხელ დადაბლდა, ის მეორედ არ ამაღლდება.

აქცენტის ტიპები

1) ტონის დადაბლება არ ხდება

nīwa (ბაღი) hāna (ცხვირი) nāmae (სახელი) nīhon-go (იაპონური ენა) []

2) ტონი დაბლდება პირველი მორის შემდეგ

hōn (წიგნი) tenki (ამინდი) raigetsu (მომავალი თვე) []

3) ტონის დადაბლება ხდება მეორე მორის შემდეგ

tamago (კვერცხი) hikōki (თვითმფრინავი) sensei (მასწავლებელი) []

4) ტონის დადაბლება ბოლო მორის შემდეგ

kutsu (ფეხსაცმელი) hana (ყვავილი)

yasumi (დასვენება) otō (უმცროსი ძმა) []

hāna (ცხვირი) 1)-ში და hana (ყვავილი) 4)-ში ერთმანეთს ჰგავს, მაგრამ აქცენტის ტიპი განსხვავდება. ამ სიტყვისთვის თანდებულ ga-ს დართვის შემთხვევაში 1) წარმოითქმის როგორც hanaga, 4) კი hanāga. ქვემოთ ზოყვანილია სიტყვები, რომელთა მნიშვნელობა განსხვავდება აქცენტის ტიპით:

hashi (ხიდი) hashi (ჩხირები საჭმელისათვის) [chi] (ერთი) [chi] (ადგილმდებარეობა)

აქცენტში არსებობს დიალექტური განსხვავებები. მაგალითად, ოსაკას რაიონში აქცენტი საკმაოდ განსხვავდება სტანდარტულისაგან. ქვემოთ მოყვანილია ასეთი განსხვავებების მაგალითები.

ტოკიოს აქცენტი : ოსაკას აქცენტი
(სტანდარტული იაპონური აქცენტი)

hana : hana (ყვავილი)
ringo : ringo (ვაშლი)
gaku : gaku (მუსიკა)

9. ინტონაცია

ინტონაციის სამი ტიპი არსებობს: 1) პირდაპირი, 2) აღმავალი და 3) დაღმავალი. კითხვითი წინადადება წარმოითქმის აღმავალი ინტონაციით. სხვა წინადადებებს ჩვეულებრივ პირდაპირით, მაგრამ ხანდახან დაღმავალითაც წარმოთქვამენ. დაღმავალი ინტონაცია ნათქვამს სძენს თანხმობის ან აღშფოთების ან სხვა ელფერს.

Satō: Ashita tomodachi to o-hanami o shimasu. [პირდაპირი→]

Mirā-san mo issho ni ikimasen ka. [აღმავალი↑]

Mirā: A, ii desu ne. [დაღმავალი↘]

სატოო: ხვალ ამხანაგებთან ერთად ბლის ყვავილობის სანახავად მივდივარ. წამოხვალთ ჩვენთან ერთად?

მილერი: ოჰ, რა კარგია!

შესავალი ბაკვეთილი

I. წარმოთქმა

1. კანა და მორა

2. გრძელი ხმოვნები

obasan (დეიდა, მამიდა) : obāsan (ბებია)

ojisan (ბიძა) : ojiisan (ბაბუა)

yuki (თოვლი) : yūki (სიმამაცე)

e (სურათი) : ē (დიახ) toru (აღება) : tōru (გაველა)

koko (აკ) : kōkō (სკოლის დამამთავრებელი კლასები) heya (ოთახი) : heiya (ვაკე, დაბლობი)

kādo (ბარათი) takushii (ტაქსი) sūpā (სუპერმარკეტი)

tēpu (ლენტი) nōto (რეუული)

3. n-ს წარმოთქმა

enpitsu (ფანქარი) minna (ყველა) tenki (ამინდი) kin'en (არ მოწიოთ)

4. ორმაგი თანხმოვნების წარმოთქმა

buka (ქვეშევრდომი) bukka (ფასები)

kasai (ხანძარი) kassai (ოვაცია)

oto (ხმა) otto (ქმარი)

nikki (დღიური) zasshi (ჟურნალი) kitte (მარკა)

ippai (ერთი ჭიქა) koppu (ჭიქა) beddo (საწოლი)

5. "yōon"-ის წარმოთქმა

hiyaku (გადახტომა) hyaku (ასი)

jiyū (თავისუფლება) jū (ათი)

biyōin (სილამაზის სალონი) byōin (საავადმყოფო)

shatsu (პერანგი) ocha (ჩაი) gyūnyū (რძე)

kyō (დღეს) buchō (დეპარტამენტის უფროსი) ryokō (მოგზაურობა)

6. აქცენტი

niwa (ბადი) hana (ცხვირი) namae (სახელი) nihon-go (იაპონური ენა) []

hiri (წიგნი) teniki (ამინდი) raigetsu (მომავალი თვე) []

tamago (კვერცხი) hikaki (თვითმფრინავი) sensei (მასწავლებელი) []

kutsu (ფეხსაცმელი) hana (ყვავილი) yasumi (დასვენება) ōto (უმცროსი ძმა) []

ტოკიოს აქცენტი : ოსაკას აქცენტი

(სტანდარტული იაპონური აქცენტი)

hana . : hana (ყვავილი)

ringo : ringo (ვაშლი)

ōngaku : ōngaku (მუსიკა)

7. ინტონაცია

Satō: Ashita tomodachi to o-hanami o shimasu. [პირდაპირი→]

Mirā-san mo issho ni ikimasen ka. [აღმავალი↗]

Mirā: A, ii desu ne. [დაღმავალი↘]

სატო: ხვალ ამხანაგებთან ერთად ბღის ყვავილობის სანახავად მივდივარ. წამოხვალთ ჩვენთან ერთად?

მილერი: ოჰ, რა კარგია!

II ფრაზები საკლასო ოთახისათვის

1 დავიწყეთ.

2 დავამთავროთ.

3 დავისვენოთ.

4 გასაგებია? (დიახ, გასაგებია. / არა, ვერ გავიგე.)

5 კიდევ ერთხელ.

6 საკმარისია.

7 არ ვარგა; შეცდომაა; არ შეიძლება.

8 სახელი

9 გამოცდა, დავალება

10 კითხვა, პასუხი, მაგალითი

III ყოველდღიური ფრაზები

1 დილა მშვიდობისა.

2 გამარჯობა.

3 საღამო მშვიდობისა.

4 ღამე მშვიდობისა.

5 კარგად იყავით; ნახვამდის.

6 გმადლობთ.

7 უკაცრავად.

8 გთხოვთ.

IV რიცხვები

0 ნოლი

1 ერთი

2 ორი

3 სამი

4 ოთხი

5 ხუთი

6 ექვსი

7 შვიდი

8 რვა

9 ცხრა

10 ათი

გამოყენებული ტერმინები

dai-ka	მე- გაკვეთილი	meishi	არსებითი სახელი
bunkei	წინადადების მოდელი	dōshi	ზმნა
reibun	წინადადების მაგალითი	keyōshi	ზედსართავი სახელი
kaiwa	დიალოგი	i- keyōshi	i-ზედსართავი სახელი
renshū	საგარჯიშო	na-keyōshi	na-ზედსართავი სახელი
mondai	დამოუკიდებელი სამუშაო	joshi	თანდებული, ნაწილაკი
kotae	პასუხი	fukushi	ზმნიზედა
yomimono	საკითხავი მასალა	setsuzokushi	კავშირი
fukushū	გამეორება	sūshi	რიცხვითი სახელი
mokujī	შინაარსი	josūshi	თვლის სუფიქსი
sakuin	საძიებელი	gimonshi	კითხვითი სიტყვა
bunpō	გრამატიკა	meishi-bun	წინადადება, რომლის შემასმენელი ნაწარმოებია არსებითი სახელით
bun	წინადადება	dōshi-bun	წინადადება, რომლის შემასმენელი ნაწარმოებია ზმნით
tango (go)	სიტყვა	keiyōshi-bun	წინადადება, რომლის შემასმენელი ნაწარმოებია ზედსართავი სახელით
ku	ფრაზა	shugo	ქვემდებარე, სუბიექტი
setsu	მარტივი წინადადება	jutsugo	შემასმენელი
hatsuon	წარმოთქმა	mokutekigo	ობიექტი
boin	ხმოვანი	shudai	თემა
shiin	თანხმოვანი	kōtei	მტკიცებითი
haku	მორა	hitei	უარყოფითი
akusento	აკცენტი	kanryō	სრული
intonēshon	ინტონაცია	mi-kanryō	არასრული
[ka-] gyō	[ka] სვეტი	kako	წარსული
[i-] retsu	[i] რიგი	hi-kako	არა წარსული
teinei-tai	თავაზიანი ფორმა		
futsū-tai	უბრალო ფორმა		
katsuyō	უღლება		
fōmu	ფორმა		
~kei	~ ფორმა		
shūshoku	განსაზღვრება		
reigai	გამონაკლისი		

შემოკლებები

შემოკლება	სრული სახელი		მაგალითები	
	ქართულად	იაპონურად		
ა	არსებითი სახელი	meishi	gakusei სტუდენტი	tsukute მაგიდა
i-ზდ.სხ.	i-ზედსართავი სახელი	i-keiyōshi	oishii გემრიელი	takai მაღალი
na-ზდ.სხ.	na-ზედსართავი სახელი	na-keiyōshi	kirei[na] ლამაზი	shizuka[na] წყნარი
ზ	ზმნა	dōshi	kaku წერა	taberu ჭამა
წ	წინადადება	bun	kore wa hon desu. ეს წიგნია. watashi wa ashita tōkyō e ikimasu. მე ხვალ ტოკიოში მივდივარ.	

პირველი ბაკვეთილი
DAI IKKA

1 სიტყვები და გამოთქმები

kotoba to hyōgen

watashi	わたし	მე
watashi tachi	わたしたち	ჩვენ
anata	あなた	შენ
anohito (anokata)	あのひと (あのかた)	ის (anokata არის anohito-ს თავაზიანი ფორმა, ანუ “ის ბატონი“)
mina san	みなさん	ბატონებო და ქალბატონებო, თქვენ ყველა
~san	~さん	(ერთვის პიროვნების სახელს და გამოხატავს ერთგვარ პატივისცემას მისდამი)
~chan	~ちゃん	(ერთვის ბავშვის სახელს)
~kun	~くん	(ერთვის ბიჭის სახელს)
jīn	じん	(მიუთითებს მოქალაქეობას მაგ. amerika-jin ამერიკელი)
sensei	せんせい	მასწავლებელი, ინსტრუქტორი, (საპატივცემულო წოდებაა და არ ითქმის საკუთარ თავზე)
kyōshi	きょうし	მასწავლებელი, პედაგოგი
gakusei	がくせい	სტუდენტი
kaishain	かいしゃいん	ფირმის ან კომპანიის თანამშრომელი
shain	しゃいん	კომპანიის თანამშრომელი (გამოიყენება კომპანიის დასახელებასთან ერთად. მაგ. IMC no shyain)
ginkōin	ぎんこういん	ბანკის თანამშრომელი
isha	いしゃ	ექიმი
kenkyūsha	けんきゅうしゃ	მკვლევარი
enjīnia	エンジニア	(engineer) ინჟინერი
daigaku	だいがく	უნივერსიტეტი, სასწავლო ინსტიტუტი
byōin	びょういん	საავადმყოფო
denki	でんき	ელექტრობა, სინათლე
dare	だれ	ვინ (donata არის dare –ს თავაზიანი ფორმა)
-sai	-さい	წლოვანების აღმნიშვნელი სუფიქსი

1

nansai (o-ikutsu)	なんさい (おいくつ)	რამდენი წლის (o-ikutsu არის nan-sai-ს თავაზიანი ფორმა)
hai	はい	დიახ
iie	いいえ	არა
shitsurei desu ga o-namae wa? hajimemashite.	しつれいですが おなまえは? はじめまして。	უკაცრავად, მაგრამ... თქვენი სახელი? სასიამოვნოა თქვენი გაცნობა (სიტყვასიტყვით: ეს ჩვენი პირველი შეხვედრაა).
dōzo yoroshiku. [onegai-shimasu]. kochira wa ~san desu. ~kara kimashita.	どうぞよろしく [おねがいします]. こちらは ~さんです。 ~から きました。	გთხოვთ კარგად მიმიღოთ (ამბობენ საკუთარი თავის წარდგენის შემდეგ). ეს ბატონი ~ა მე ~დან ჩამოვედი.

amerika	アメリカ	ა.შ.შ.
igirisu	イギリス	ინგლისი
indo	インド	ინდოეთი
indonesia	インドネシア	ინდონეზია
kankoku	カンコク	სამხრეთი კორეა
tai	タイ	ტაილანდი
chūgoku	ちゅうごく	ჩინეთი
doitsu	ドイツ	გერმანია
nihon	にほん	იაპონია
furansu	フランス	საფრანგეთი
burajiru	ブラジル	ბრაზილია
sakura-daigaku / fuji-daigaku	さくら だいがく / ふじだいがく	(უნივერსიტეტების სახელები)
IMC/pawā-denki/ burajiru-eā	IMC/パワーでんき/ ブラジルエアー	(კომპანიების სახელები)
AKC	AKC	(კვლევითი ინსტიტუტის სახელი)
kōbe-byōin	こうべ びょういん	(საავადმყოფოს სახელი)

II თარგმანი hon'yaku

წინადადების მოდელი bunkē

1. მე მაიკ მილერი ვარ.
2. ბატონი სანტოსი სტუდენტი არ არის.
3. ბატონი მილერი ფირმის თანამშრომელია?
4. ბატონი სანტოსიც ფირმის თანამშრომელია.

წინადადების მაგალითები rēbun

1. (თქვენ) ბატონი მაიკ მილერი ბრძანდებით?
დიახ, (მე) მაიკ მილერი ვარ.
2. თქვენ სტუდენტი ხართ?
არა, (მე) სტუდენტი არ ვარ. ფირმის თანამშრომელი ვარ.
3. ბატონი ვანგი ინჟინერია?
არა, ბატონი ვანგი არ არის ინჟინერი. ის ექიმია.
4. ის ბატონი ვინ არის?
ის პროფესორი ვატია. საკურას უნივერსიტეტის მასწავლებელი.
5. ტერეზა რამდენი წლისაა?
ცხრა წლისაა.

დიალოგი kaiwa

სასიამოვნოა თქვენი გაცნობა

- სატოო: დილა მშვიდობის.
იამადა: დილა მშვიდობის.
 : ბატონო სატოო, ეს მაიკ მილერია.
მილერი: მაიკ მილერი. ამერიკიდან ჩამოვედი.
 : სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.
სატოო: მე სატოო კეიკო ვარ.
 : სასიამოვნოა თქვენი გაცნობა.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

KUNI HITO KOTOBA ქვეყანა აღამიანი ენა

kuni ქვეყანა	hito აღამიანი	koṭoba ენა
amerika აშშ	amerika-jin ამერიკელი	eigo ინგლისური ენა
gurujia საქართველო	grujia-jin	gurujia-go
igirisu ინგლისი	igirisu-jin	eigo
itaria იტალია	itaria-jin	itaria-go
iran ირანი	iran-jin	perushia-go
indo ინდოეთი	indo-jin	hindii-go
indonesia ინდონეზია	indonesia-jin	indonesia-go
ejiputo ეგვიპტე	ejiputo-jin	arabia-go
ōsutoraria ავსტრალია	ōsutoraria-jin	eigo
kanada კანადა	kanada-jin	eigo, furansu-go
kankoku სამხრეთი კორეა	kankoku-jin	kankoku-go
saujjarabia საუდის არაბეთი	saujjarabia-jin	arabia-go
shingapōru სინგაპური	shingapōru-jin	eigo
supein ესპანეთი	supein-jin	supein-go
tai ტაილანდი	tai-jin	tai-go
chūgoku ჩინეთი	chūgoku-jin	chūgoku-go
doitsu გერმანია	doitsu-jin	doitsu-go
nihon იაპონია	nihon-jin	nihon-go
furansu საფრანგეთი	furansu-jin	furansu-go
firipin ფილიპინები	firipin-jin	firipin-go
burajiru ბრაზილია	burajiru-jin	portugaru-go
betonamu ვიეტნამი	betonamu-jin	betonamu-go
marēshia მალაიზია	marēshia-jin	marēshia-go
mekishiko მექსიკა	mekishiko-jin	supein-go
roshia რუსეთი	roshia-jin	roshia-go

IV გრამატიკა bumpō

1. A_1 wa A_2 desu

1) თანდებული wa

თანდებული wa მიგვანიშნებს, რომ მის წინ მდგომი სიტყვა არის წინადადების თემა. თქვენ ირჩევთ სასაუბრო თემის გამომხატველ სიტყვას, უმატებთ wa-ს და იძლევით ინფორმაციას შერჩეული თემის შესახებ.

watashi wa maiku mirā desu.

მე მაიკ მილერი ვარ.

2) desu

არსებით სახელს desu-თან ერთად შეუძლია შემასმენლის როლის შესრულება. desu მტკიცებითი ფორმაა. ის გამოხატავს აგრეთვე მოსაუბრის პატივისცემას მსმენელის მიმართ და არ გამოიყენება უარყოფითი წინადადების ან წარსული დროის შემთხვევაში.

watashi wa enjinia desu.

მე ინჟინერი ვარ.

2. A_1 wa A_2 ja'arimasen

ja arimasen არის desu-ის უარყოფითი ფორმა. ეს ფორმა გვხვდება ყოველდღიურ მეტყველებაში. წერის დროს ან ოფიციალური საუბრისას მის მაგივრად dewa arimasen-ს იყენებენ.

santosu-san wa gakusei ja arimasen. ბატონი სანტოსი სტუდენტი არ არის.
(dewa)

3. ∇ ka

1) ნაწილაკი ka გამოხატავს მოსაუბრის ეჭვს, ან შეკითხვას. კითხვითი წინადადება იწარმოება წინადადების ბოლოს ნაწილაკი ka-ს დამატებით. ამ დროს წინადადებაში სიტყვათა წყობა არ იცვლება. კითხვითი წინადადების ინტონაცია აღმავალია. მოსაუბრე ამგვარად სვამს შეკითხვას, სწორია თუ არა მისი ნათქვამი. იმისდა მიხედვით სწორია თუ არა ნათქვამი, თქვენ პასუხობთ: hai ან iie.

mirā-san wa amerika-jin desu ka.

hai, amerika-jin desu.

mirā-san wa sensei desuka.

iie, sensei ja arimasen.

ბატონი მილერი ამერიკელია?

დიახ, ამერიკელია.

ბატონი მილერი მასწავლებელია?

არა, მასწავლებელი არ არის.

2) კითხვითი წინადადება კითხვითი სიტყვით.

კითხვითი სიტყვა კითხვით წინადადებაში მიგვანიშნებს თუ რას ეხება შეკითხვა. სიტყვათა წყობა აქაც არ იცვლება, წინადადებას ბოლოს ემატება ka.

anokata wa donata desu ka.

ის ვინ არის ის?

anokata wa mirā-san desu.

ის ბატონი მილერია.

4. ა mo

mo ემატება თემად აღებულ სიტყვას wa-ს ნაცვლად მაშინ, როდესაც მოცემული არსებითი სახელი შინაარსით ჰგავს წინათ შემოტანილ არსებით სახელს.

mirā-san wa kaishain desu.

ბატონი მილერი ფირმის თანამშრომელია.

guputa-san mo kaishain desu.

ბატონი გუპტაც ფირმის თანამშრომელია.

5. ა₁ no ა₂

no გამოიყენება ორი არსებითი სახელის დასაკავშირებლად. ა₁ განსაზღვრავს ა₂-ს. ამ გაკვეთილში ა₁ არის ორგანიზაცია, ა₂ კი მისი წევრია.

mirā-san wa IMC no shain desu. ბატონი მილერი IMC-ის თანამშრომელია.

6. ~ san

san დაერთვის მსმენელის ან მესამე პირის სახელს, და გამოხატავს პატივისცემას ამ პირთა მიმართ. მოსაუბრე თავის სახელს san-ს არასდროს უმატებს.

ano kata wa mirā-san desu.

ის ბატონი მილერია.

თავაზიანი მიმართვისას არასოდეს გამოიყენება სიტყვა anata (შენ). ჩვეულებრივ მსმენელს მიმართავენ გვარით, რომელსაც დაერთვის san.

suzuki: mirā-san wa gakusei desu ka.

თქვენ სტუდენტი ხართ?

mirā: iie, kaishain desu.

არა, მე ფირმის თანამშრომელი ვარ.

მეორე ბაკვეთილი
DAI NI KA

1. სიტყვები და გამოთქმები

kotoba to hyōgen

kore	これ	ეს (ის, რაც აქ არის - მოსაუბრესთან ახლოს)
sore	それ	ეგ (ის, რაც მანდ არის - მსმენელთან ახლოს)
are	あれ	ის (ის, რაც იქ არის - მოსაუბრისა და მსმენელისაგან თანაბრად დაშორებული)
kono ~	この~	ეს ~ (აუცილებლად მოსდევს სახელი)
sono ~	その~	ეგ ~ (აუცილებლად მოსდევს სახელი)
ano ~	あの~	ის ~ (აუცილებლად მოსდევს სახელი)
hon	ほん	წიგნი
jisho	じしよ	ლექსიკონი
zasshi	ざっし	ჟურნალი
shinbun	しんぶん	გაზეთი
nōto	ノート	(notebook) რვეული
techō	てちょう	ბლოკნოტი
meishi	めいし	საეიზიტო ბარათი
kādo	カード	(card) ბარათი
terehon-kādo	テレホンカード	(telephone card) სატელეფონო ბარათი
enpitsu	えんぴつ	ფანქარი
bōrupen	ボールペン	(ballpoint pen) ბურთულიანი საწერ-კალამი
shāpu-penshiru	シャープペンシル	(propelling pencil) მიკროპენი, მექანიკური ფანქარი
kagi	かぎ	გასაღები
tokei	とけい	საათი
kasa	かさ	ქოლგა
kaban	かばん	ჩანთა
[kasetto-] tēpu	[カセット]テープ	(cassette tape) აუდიო კასეტა
tēpu-rekōdā	テープレコーダー	(tape recorder) მაგნიტოფონი
terebi	テレビ	(television) ტელევიზორი
rajio	ラジオ	(radio) რადიო

kamera	カメラ	(camera) ფოტოაპარატი
kompyūtā	コンピューター	(computer) კომპიუტერი
jidōsha	自動車	ავტომანქანა
tsukue	つくえ	მაგიდა
isu	いす	სკამი
chokorēto	チョコレート	(chocolate) შოკოლადი
kōhii	コーヒー	(coffee) ყავა
eigo	えいご	ინგლისური ენა
nihongo	にほんご	იაპონური ენა
| これから       | ამის შემდეგ, ახლა, ამიერიდან |
| [~]すてきですね。 | რა შესანიშნავია!             |

|                |                                                                                             |
|----------------|---------------------------------------------------------------------------------------------|
| かいわ            | დიალოგი                                                                                     |
| ごめん ください。      | უკაცრავად, არის ვინმე? შეიძლება შემოვიდე? (ამ ფრაზას ამბობს სტუმარი, როდესაც სახლში შედის.) |
| いらっしやい。        | მობრძანდით.                                                                                 |
| どうぞ おあがり ください。 | გთხოვთ, შემობრძანდით.                                                                       |
| しつれい します。      | გმადლობ (უკაცრავად რომ გაწუხებთ).                                                           |
| [~は] いかがですか。   | ~ს ხომ არ ინებებთ?                                                                          |
| いただきます。        | გეახლებით; სიამოვნებით მივირთმევ. (ითქმის ჭამის წინ)                                        |
| りよう            | მოგზაურობა (~をする მოგზაურობა (მოგზაურობს))                                                   |
| おみやげ           | სუვენირი, საჩუქარი                                                                          |

|       |          |
|-------|----------|
| ヨーロッパ | ევროპა   |
| スペイン  | ესპანეთი |

## II თარგმანი hon'yaku

### წინადადების მოდელი bunkē

1. წერილს ელექტრონულ საბეჭდ მოწყობილობაზე ვბეჭდავ.
2. ქალბატონ კიმურას ყვავილებს მივართმევ.
3. ქალბატონი კარინასაგან შოკოლადი მივიღე.

### წინადადების მაგალითები rēbun

1. იაპონური ენა ტელევიზიით შეისწავლეთ?  
არა, რადიოთი ვისწავლე.
2. ანგარიშს იაპონურად წერთ?  
არა, ინგლისურად ვწერ.
3. “კარგად იყავით” იაპონურად როგორ იქნება?  
“sayonara” იქნება.
4. საშობაო მისალოც ბარათს ვის სწერთ?  
ოჯახს და მეგობრებს.
5. ეს რა არის?  
ბლოკნოტია. ბატონმა იამაღამ მომცა.
6. შინკანსენის ბილეთი უკვე იყიდეთ?  
დიახ, უკვე ვიყიდე.
7. საუზმე უკვე მიირთვით?  
არა, ჯერ არა. ახლა ვაპირებ.

### დიალოგი kaiwa

#### შეიძლება შემოვიდე?

ხოსე სანტოსი: შეიძლება?  
იამაღა იჩირო: მობრძანდით. გთხოვთ შემობრძანდეთ.  
ხოსე სანტოსი: გმადლობთ.

იამაღა ტომოკო: ყავას მიირთმევთ?  
მარია სანტოსი: გმადლობთ. გეახლებით.

იამაღა ტომოკო: ინებეთ.  
მარია სანტოსი: გმადლობთ. რა შესანიშნავი კოკუსია.  
იამაღა ტომოკო: დიახ, თანამშრომელმა მომცა. ევროპაში მოგზაურობიდან ჩამომიტანა საჩუქრად.

## III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

## KAZOKU ოჯახი

| watashi no<br>kazoku<br>ჩემი ოჯახი |               | tanaka san no<br>kazoku<br>ბატ. (ქ-ბატ.) ტანაკას ოჯახი |
|------------------------------------|---------------|--------------------------------------------------------|
| sobo                               | ბებია         | obāsan                                                 |
| sofu                               | ბაბუა         | ojiisan                                                |
| <b>sofubo</b>                      | ბებია-ბაბუა   | -                                                      |
| haha                               | დედა          | okāsan                                                 |
| chichi                             | მამა          | otōsan                                                 |
| <b>ryōshin</b>                     | მშობლები      | <b>go-ryōshin</b>                                      |
| imōto                              | უმცროსი და    | imōto-san                                              |
| otōto                              | უმცროსი ძმა   | otōto-san                                              |
| ane                                | უფროსი და     | onēsan                                                 |
| ani                                | უფროსი ძმა    | oniisan                                                |
| <b>kyōdai</b>                      | და-ძმა        | <b>go-kyōdai</b>                                       |
| tsuma                              | ცოლი          | okusan                                                 |
| otto                               | ქმარი         | go-shujin                                              |
| <b>fūfu</b>                        | ცოლ-ქმარი     | <b>go-fūfū</b>                                         |
| musume                             | ქალიშვილი     | musume-san                                             |
| musuko                             | ვაჟიშვილი     | musuko-san                                             |
| <b>kodomo</b>                      | ბავშვი, შვილი | <b>okosan</b>                                          |

## IV გრამატიკა bumpō

### 1. ა(სამუშაო იარაღი / ხერხი, საშუალება ) de ზ

თანდებული de ერთვის იმ იარაღს ან საშუალებას, რითაც მოქმედება სრულდება.

hashi de tabemasu.

ჩხირებით ვჭამ.

nihongo de repōto o kakimasu.

ანგარიშს იაპონურად ვწერ.

### 2. “სიტყვა / წინადადება” wa ~go de nan desuka.

ამ მოდელის წინადადება გამოიყენება იმის გასაგებად, თუ როგორ ითქმის ესა თუ ის სიტყვა ან წინადადება რომელიმე ენაზე.

“arigato” wa gurujia-go de nan desuka. როგორ არის “არიგატო” ქართულად?

“gmadlob” desu.

ქართულად არის “გმადლობ”

“Thank you” wa nihon-go de nan desuka. “Thank you” იაპონურად როგორ არის?

“arigato” desu.

იაპონურად არის “arigato”.

### 3. ა(პირი) ni agemasu და ა. შ.

ageru, kasu, oshieru ტიპის ზმნები სამპირიანია და მოითხოვენ იმ პირის აღნიშვნას, ვისაც რაღაც მისცეს, ასესხეს, ასწავლეს ან სხვა. აღნიშნული პირის სახელს დაერთვის თანდებული ni, ხოლო იმას რაც მისცეს, ასესხეს, ან ასწავლეს თანდებული o.

yamada san wa kimura san ni hana o agemashita.

ბატონმა იამადამ ქალბატონ კიმურას ყვავილები მიართვა.

ia san ni hon o kashimashita.

ქალბატონ იას წიგნი ვათხოვე.

tarō kun ni gurujia-go o oshiemasu.

ტაროს ქართულს ვასწავლი.

**შენი შენა:** თუ okuru, denwa o kakeru ზმნებთან პირის აღმნიშვნელი არსებითი სახელის მაგივრად გვაქვს ადგილის აღმნიშვნელი არსებითი სახელი, ni თანდებული შეიძლება შეიცვალოს e მიმართულების თანდებულით.

kaisha ni denwa o kakemasu.

(e)

სამსახურში დავრეკავ.

#### 4. ა (პირი) ni moraimasu და ა. შ.

morau, kariru, narau ტიპის ზმნებიც აგრეთვე სამპირიანია და მოითხოვენ იმ პირის აღნიშვნას, ვისგანაც რაღაც მიიღეს, ისესხეს, ისწავლეს ან სხვა.

აღნიშნული პირის სახელს დაერთვის თადებული ni, ხოლო იმას რაც მიიღეს, ისესხეს ან ისწავლეს თანდებული o.

kimura san wa yamada san ni hana o moraimashita.

ქალბატონმა კიმურამ ბატონ იამადასაგან ყვავილები მიიღო.

karina san ni CD o karimashita.

კარინამ CD მათხოვა.

wan san ni chūgoku-go o naraimasu.

ბატონი ვანისაგან ვსწავლობ ჩინურ ენას.

ხანდახან ni-ს მაგივრად გამოიყენება kara. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოცემული მოქმედება თქვენთვის სკოლამ, ინსტიტუტმა, ან ორგანიზაციამ შეასრულა გამოიყენება მხოლოდ kara.

kimura san wa yamada san kara hon o moraimashita.

ქალბატონმა კიმურამ ბატონ იამადასაგან ყვავილები მიიღო.

ginkō kara o-kane o karimashita.

ბანკიდან ფული ვისესხე.

#### 5. mō ზ mashita

mō ნიშნავს “უკვე”-ს. მოდელი mō ზ mashita გვეუბნება, რომ მოქმედება უკვე დასრულდა.

mō nimotsu o okurimashita ka.

hai, okurimashita.

iiie, mada desu.

ბარგი უკვე გააგზავნეთ?

დიახ, გააგზავნე.

არა, ჯერ არა.

უარყოფითი პასუხის გასაცემად ზ masen deshita არ არის საჭირო. უბრალოდ პასუხობთ “ჯერ არა”.

მერვე ბაკვეთილი  
DAI HACHI KA

## I სიტყვები და გამოთქმები

## kotoba to hyōgen

|         |                                                              |
|---------|--------------------------------------------------------------|
| ハンサム[な] | (handsome) სიმპათიური, მომხიბვლელი (ითქმის მხოლოდ მამაკაცზე) |
| きれい[な]  | ლამაზი, სუფთა                                                |
| しずか[な]  | წყნარი                                                       |
| にぎやか[な] | ხმაურიანი, სიცოცხლით სავსე                                   |
| ゆうめい[な] | ცნობილი                                                      |
| しんせつ[な] | თავაზიანი, კეთილი                                            |
| げんき[な]  | ჯანმრთელი, ენერგიული, მხიარული                               |
| ひま[な]   | თავისუფალი (დრო)                                             |
| べんり[な]  | მოხერხებული                                                  |
| すてき[な]  | შესანიშნავი                                                  |
| おおきい    | დიდი                                                         |
| ちいさい    | პატარა                                                       |
| あたらしい   | ახალი                                                        |
| ふるい     | ძველი                                                        |
| いい (よい) | კარგი                                                        |
| わるい     | ცუდი                                                         |
| あつい     | ცხელი                                                        |
| さむい     | ცივი (ჰაერის ტემპერატურის შესახებ)                           |
| つめたい    | ცივი (შეხებისას მიღებული შეგრძნების შესახებ)                 |
| むずかしい   | ძნელი                                                        |
| やさしい    | ადვილი                                                       |
| たかい     | მაღალი, ძვირი                                                |
| やすい     | იაფი                                                         |
| ひくい     | დაბალი                                                       |
| おもしろい   | საინტერესო                                                   |
| おいしい    | გემრიელი                                                     |
| いそがしい   | დაკავებული                                                   |
| たのしい    | სახალისო, სასიამოვნო                                         |
| しろい     | თეთრი                                                        |
| くろい     | შავი                                                         |
| あかい     | წითელი                                                       |
| あおい     | ლურჯი, ცისფერი, ღია მწვანე                                   |
| さくら     | დეკორატიული ბლის ხე                                          |
| やま      | მთა                                                          |
| まち      | ქალაქი, დასახლება                                            |

|          |                                                      |
|----------|------------------------------------------------------|
| たべもの     | საჭმელი                                              |
| くるま      | მანქანა                                              |
| ところ      | ადგილი                                               |
| りょう      | საერთოსაცხოვრებელი                                   |
| べんきょう    | მეცადინეობა                                          |
| せいかつ     | ცხოვრება                                             |
| [お]しごと   | სამუშაო (~を する მუშაობა (მუშაობს))                    |
| どう       | როგორ                                                |
| どんな~     | როგორი ~                                             |
| どれ       | რომელი                                               |
| とても      | ძალიან                                               |
| あまり      | არც ისე (გამოიყენება ზმნის უარყოფით ფორმასთან)       |
| そして      | შემდეგ (გამოიყენება ორი წინადადების დაასკავშირებლად) |
| ~が、~     | ~, მაგრამ ~                                          |
| おげんきですか。 | როგორა ხართ?                                         |
| そうですね。   | დიახ; ასეა.                                          |

|                       |                                        |
|-----------------------|----------------------------------------|
| かいわ                   | დიალოგი                                |
| にほんの せいかつに<br>なれましたか。 | მიეხვეთ იაპონიაში ცხოვრებას?           |
| ~もう いっぱい いかがですか。      | ~ს კიდევ ერთ ჭიქას ხომ არ მიირთმევდით? |
| いいえ、けっこうです。           | არა, გმადლობთ; არა, საკმარისია.        |
| もう~です[ね]。             | უკვე ~ არა?                            |
| そろそろ しつれい します。        | უკვე წასვლის დროა.                     |
| また いらっしゃって ください。      | კიდევ მობრძანდით.                      |

|              |                                                              |
|--------------|--------------------------------------------------------------|
| ふじさん         | ჰუჯის მთა, ყველაზე მაღალი მთა იაპონიაში                      |
| びわこ          | ტბა ბივა, ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში                         |
| シャンハイ        | შანჰაი                                                       |
| 「しちにんの さむらい」 | “შვიდი სამურაი” (აკირა კუროსავას მიერ გადაღებული კინოფილმი). |
| きんかくじ        | ტაძარი კინკაკუჯი (ოქროს პავილიონი)                           |

## II თარგმანი hon'yaku

### წინადადების მოდელი bunkē

1. ბლის ყვავილობა ძალიან ლამაზია.
2. მთა ჰუჯი მაღალია.
3. ბლის ყვავილი ლამაზია.
4. მთა ჰუჯი მაღალი მთაა.

### წინადადების მაგალითები rēbun

1. ოსაკა ხმაურიანია?  
დიახ, ხმაურიანია.
2. ტბა ბივას წყალი სუფთაა?  
არა, არც ისე სუფთაა.
3. ახლა პეკინში ცივა?  
დიახ, ძალიან ცივა.  
შანჰაიშიც ცივა?  
არა, არც ისე ცივა.
4. ეს ლექსიკონი კარგია?  
არა, არც ისე კარგია.
5. როგორია ტოკიოს მეტრო?  
სუფთაა და მოხერხებული.
6. გუშინ ფილმი ვნახე.  
რა ფილმი?  
“შეიდი სამურაი”. ძველი, მაგრამ ძალიან საინტერესო ფილმია.
7. რომელია ბატონ მილერის ქოლგა?  
აი, ის ლურჯი ქოლგაა.

### დიალოგი kaiwa

#### უკვე წასვლის დროა

იამადა იჩირო: ქალბატონო მარია, იაპონიაში ცხოვრებას უკვე შეეჩვიეთ?

მარია სანტოსი: დიახ, ყოველი დღე ძალიან სახალისოა.

იამადა იჩირო: ბატონო სანტოს, როგორ მიდის მუშაობა?

ხოსე სანტოსი: დიახ. დაკავებული ვარ, მაგრამ საინტერესო სამუშაო მაქვს.

იამადა ტომოკო: კიდევ ერთ ჭიქა ყავას ხომ არ მიირთმევთ?

მარია სანტოსი: არა, გმადლობთ.

ხოსე სანტოსი: უკვე 8 საათია. ჩვენი წასვლის დროა.

იამადა ტომოკო: უკვე მიდიხართ?

მარია სანტოსი: დიდი მადლობა ყველაფრისათვის.

იამადა ტომოკო: რას ბრძანებთ, კიდევ მობრძანდით.


### III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

#### IRO - AJI შერი და გემო

##### iro შერი

|          |                            |        |                       |
|----------|----------------------------|--------|-----------------------|
| shiroi   | თეთრი                      | kiroi  | ყვითელი               |
| kuroi    | შავი                       | chairo | ყვისფერი              |
| akai     | წითელი                     | pinku  | (pink) ვარდისფერი     |
| aoi      | ლურჯი, ცისფერი, ღია მწვანე | orenji | (orange) სტაფილოსფერი |
| midori   | მწვანე                     | gurē   | (gray) რუხი           |
| murasaki | ისამნისფერი                | bēju   | (beige) ბეჟი          |

##### aji გემო



#### haru (გაზაფხული), natsu (ზაფხული), aki (შემოდგომა), fuyu (ზამთარი)

იაპონიაში წელიწადის ოთხი დროა: გაზაფხული (მარტი, აპრილი, მაისი), ზაფხული (ივნისი, ივლისი, აგვისტო), შემოდგომა (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი) და ზამთარი (დეკემბერი, იანვარი, თებერვალი).

იაპონია კუნძულოვანი ქვეყანაა და განლაგებულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ამიტომ წელიწადის ერთსა და იმავე დროს სხვადასხვა ადგილას ტემპერატურა სხვადასხვაა. თუმცა, როგორც გრაფიკზე ჩანს, ნაპაში (ოკინავა), ტოკიოსა და აბაშირიში (ჰოკაიდო) ტემპერატურის ცვლილების გრაფიკი მსგავსია.

ყველაზე ცხელია აგვისტო, ყველაზე ცივი თვეებია იანვარი და თებერვალი. ამგვარად, იაპონიაში ისევე როგორც ჩვენთან, ზაფხული ცხელია, შემოდგომა გრილი, ზამთარი ცივი, გაზაფხული კი თბილი.

## IV გრამატიკა

### 1. ზედსართავი სახელი (ზდ.სხ.)

იაპონურ ენაში ზედსართავ სახელს აქვს ორი ფუნქცია: ა) აწარმოებს შემასმენელს; ბ) არის განსაზღვრება. დაბოლოების მიხედვით ზედსართავი სახელები იყოფა ორ ჯგუფად: ზედსართავი სახელები *i* და *na* დაბოლოებებით.

| ზედსართავი სახელები<br><i>i</i> დაბოლოებით | ზედსართავი სახელები<br><i>na</i> დაბოლოებით |
|--------------------------------------------|---------------------------------------------|
| omoshiroi                                  | shizuka na                                  |
| akai                                       | suteki na                                   |
| tanoshii                                   | hima na                                     |
| samui                                      | shinsetsu na                                |

### 2. ზედსართავი სახელით ნაწარმოები შემასმენელი

1) ზედსართავი სახელით ნაწარმოები შემასმენლიანი წინადადების ბოლოს *desu* გამოხატავს მოსაუბრის პატივისცემას მსმენელის მიმართ. მის წინ *i*-ზედსართავი სახელი გამოდის სრულად თავისი *i* დაბოლოებით, *na*-ზედსართავ სახელს კი ჩამოშორდება *na* დაბოლოება.  
*watto sensei wa shinsetsu desu.*      ვატ მასწავლებელი კეთილია.  
*fujisan wa takai desu.*                      მთა ჰუჯი მაღალია.  
*desu* გამოიყენება მტკიცებით წინადადებაში ახლანდელ-მომავალ დროში.

### 2) *na*-ზდ.სხ. (*na*-ს გარეშე) *ja arimasen*

*na*-ზედსართავი სახელისაგან წარმოქმნილი შემასმენლის უარყოფითი ფორმა იწარმოება *na* დაბოლოების ჩამოშორებით და *ja arimasen* სიტყვების დამატებით.  
*asoko wa shizuka ja arimasen.*      იქ არ არის სიწყნარე.  
 (*dewa*)

### 3) *i*-ზდ.სხ. (*i*-ს გარეშე) *kunai desu*

*i*-ზედსართავი სახელისაგან წარმოქმნილი შემასმენლის უარყოფითი ფორმის საწარმოებლად ზედსართავ სახელს *i* ჩამოშორდება და ემატება *kunai desu*.  
*kono hon wa omoshirokunai desu.*      ეს წიგნი საინტერესო არ არის.

4) მტკიცებითი წინადადების კითხვით წინადადებად გადაქცევა, სადაც შემასმენელი ზედსართავი სახელით არის ნაწარმოები, ხდება *ka*-ს დამატებით ბოლოში. ამ კითხვის პასუხად უნდა გაიმეოროთ მოცემული ზედსართავი სახელი. არ შეიძლება *sō desu* ან *sō ja arimasen*-ის გამოყენება.

*pekin wa samui desuka.*      პეკინში ცივა?  
*hai, samuidesu.*                      დიახ, ცივა.  
*biwako no mizu wa kirei desu ka.*      ბივას ტბის წყალი სუფთაა?  
*iie, kirei ja arimasen.*                      არა, არ არის სუფთა.

### 3. na-ზდ.სხ. ა

ზედსართავი სახელი დგას არსებითი სახელის წინ, რათა განსაზღვროს იგი. ამ შემთხვევაში na-ზედსართავ სახელს na არ ჩამოშორდება i-ზედსართავი სახელიც ინარჩუნებს თავის დაბოლოებას.

watto sensē wa shinsetsuna sensē desu.

ვატ მასწავლებელი კეთილი მასწავლებელია.

fuji san wa takai yama desu. ჰუჯის მთა მაღალი მთაა.

### 4. totemo / amari

totemo და amari ხარისხის გამომხატველი ზმნიზედებია. ორივე დგას იმ ზედსართავი სახელის წინ, რომელსაც განსაზღვრავს. totemo გამოიყენება მტკიცებით წინადადებაში და ნიშნავს “ძალიან”. amari გამოიყენება უარყოფით წინადადებაში და ნიშნავს “არც ისე”.

pekin wa totemo samui desu.

პეკინში ძალიან ცივა.

kore wa totemo yūmēna eiga desu.

ეს ძალიან ცნობილი ფილმია.

shanghai wa amari samuku nai desu.

შანჰაიში არც ისე ცივა.

sakura daigaku wa amari yūmēna daigaku ja arimasen.

საკურას უნივერსიტეტი არც ისე ცნობილი უნივერსიტეტია.

### 5. ა wa dō desu ka.

ამ შეკითხვას ვსვამთ იმ შემთხვევაში, თუ გვაინტერესებს მსმენელის აზრი ისეთი საგნის ან მოვლენის შესახებ, რომელიც მას უნახავს განუცდია ან გამოუიცდია.

nihon no seikatsu wa dō desu ka.

როგორია იაპონიაში ცხოვრება?

tanoshii desu.

სასიამოვნოა.

### 6. ა<sub>1</sub> wa donna ა<sub>2</sub> desu ka.

ეს ფორმა გამოიყენება მაშინ, როდესაც მოსაუბრეს სურს მსმენელმა აღუწეროს ა<sub>1</sub> არსებითი სახელი, როგორც ა<sub>2</sub> არსებითი სახელის კერძო შემთხვევა. კითხვითი სიტყვა donna მოსდევს ა<sub>1</sub> არსებით სახელს.

nara wa donna machi desu ka.

ნარა როგორი ქალაქია?

furui machi desu.

ძველი ქალაქია.

### 7. ♡<sub>1</sub> ga ♡<sub>2</sub>

ga არის შემაერთებელი ნაწილაკი და ნიშნავს “მაგრამ”. ის აკავშირებს ორ წინადადებას.

nihon no tabemono wa oishii desu ga, takai desu.

იაპონური საჭმელი გემრიელია, მაგრამ ძვირი.

### 8. dore

dore კითხვითი სიტყვაა. გამოიყენება მაშინ, როცა გვინდა მსმენელმა ამოირჩიოს ერთი, ორ ან მეტ მოცემულ ნივთს შორის.

mirā-san no kasa wa dore desu ka.

მილერის ქოლგა რომელია?

ano aoi kasa desu.

ის ლურჯი ქოლგაა.

მეცხრე ბაკვეთილი  
DAIKYŪ KA

## I სიტყვები და გამოთქმები

## kotoba to hyōgen

|           |                                             |
|-----------|---------------------------------------------|
| わかる       | გაგება (იგებს)                              |
| ある        | ქონა (აქვს)                                 |
| すき[な]     | სასურველი, მოსაწონი                         |
| きれい[な]    | საძულველი                                   |
| じょうず[な]   | მოხერხებული, ყოჩაღი, მცოდნე                 |
| へた[な]     | მოუხერხებელი, უცოდინარი                     |
| りょうり      | კერძი                                       |
| のみもの      | სასმელი                                     |
| スポーツ      | ( <i>sport</i> ) სპორტი (~を する ~ს თამაშობს) |
| やきゅう      | ბეისბოლი                                    |
| ダンス       | ( <i>dance</i> ) ცეკვა (~を する ~ს ცეკვავს)   |
| おんがく      | მუსიკა                                      |
| うた        | სიმღერა                                     |
| クラシック     | ( <i>classical music</i> ) კლასიკური მუსიკა |
| ジャズ       | ( <i>jazz</i> ) ჯაზი                        |
| コンサート     | ( <i>concert</i> ) კონცერტი                 |
| カラオケ      | კარაოკე                                     |
| かぶき       | კაბუკი (ტრადიციული იაპონური თეატრი)         |
| え         | ნახატი, სურათი                              |
| じ         | ასო, იეროგლიფი                              |
| かんじ       | იეროგლიფი                                   |
| ひらがな      | ჰირაგანა                                    |
| かたかな      | კატაკანა                                    |
| ローマじ      | ლათინური ანბანი                             |
| こまかい おかね  | ხურდა ფული, წვრილი კუპიურები                |
| チケット      | ( <i>ticket</i> ) ბილეთი                    |
| じかん       | დრო                                         |
| ようじ       | საქმე                                       |
| やくそく      | შეთანხმება, დაპირება                        |
| ごしゅじん     | ქმარი (ვინმესი)                             |
| おっと / しゅじ | ქმარი (ჩემი)                                |
| ん         |                                             |
| おくさん      | ცოლი (ვინმესი)                              |
| つま / かない  | ცოლი (ჩემი)                                 |

|               |                                                                                 |
|---------------|---------------------------------------------------------------------------------|
| こども           | ბავშვი                                                                          |
| よく            | ხშირად                                                                          |
| だいたい          | ძირითადად, მეტწილად                                                             |
| たくさん          | ბევრი                                                                           |
| すこし           | ცოტა                                                                            |
| ぜんぜん          | სულაც არ (გამოიყენება ზმნის უარყოფით ფორმასთან)                                 |
| はやく           | ჩქარა                                                                           |
| ~から           | ~ის გამო; იმიტომ რომ ~                                                          |
| どうして          | რატომ                                                                           |
| さんねんです[ね]。    | [რა] სამწუხაროა; გულდასაწყვეტია.                                                |
| すみません。        | უკაცრავად                                                                       |
| かいわ           | დიალოგი                                                                         |
| もしもし          | გისმენთ, ალო (ტელეფონზე პასუხისას)                                              |
| ああ            | ოჰ                                                                              |
| いっしょにいかがですか。  | ხომ არ შემომიერთდებოდით?                                                        |
| [~は] ちよつと...。 | ეს ცოტა რთულია. . . (გამოიყენება მაშინ, როდესაც გსურთ უარი თქვათ მოპატიუებაზე)  |
| だめですか。        | არ შეგიძლიათ?                                                                   |
| またこんど         | [დამირეკეთ] სხვა დროს, თუ შეიძლება (ამბობენ მოწვევაზე თავაზიანად უარის თქმისას) |
| おねがいします。      |                                                                                 |
| おざわ せいじ       | ოზავა სეიჯი (ცნობილი იაპონელი დირიჟორი) (1935წ. ~)                              |

## II თარგმანი hon'yaku

### წინადადების მოდელი bunkē

1. მე იტალიური კერძები მომწონს.
2. მე ცოტა მესმის იაპონური.
3. დღეს ბავშვის დაბადების დღეა, ამიტომ სახლში ადრე წავალ.

### წინადადების მაგალითები rēbun

1. ალკოჰოლური სასმელები გიყვართ?  
არა, არ მიყვარს.
2. რომელი სპორტი მოგწონთ?  
ფეხბურთი მომწონს.
3. ქალბატონ კარინას ხატვა ეხერხება?  
დიახ, კარინა კარგად ხატავს.
4. ბატონო ტანაკა, ინდონეზიური გესმით?  
არა, სრულებით არ მესმის.
5. ხურდა ფული გაქვთ?  
არა, არ მაქვს.
6. გაზეთს ყოველ დღით კითხულობთ?  
არა, დრო არ მაქვს, ამიტომ არ ვკითხულობ.
7. გუშინ ადრე რატომ წახვედით?  
საქმე მქონდა და იმიტომ.

### დიალოგი kaiwa

რა დასანანია

- მიღერი: ალო, მიღერი ვარ.  
კიმურა: აჰ, ბატონო მიღერი, სადამო მშვიდობისა. როგორ ხართ?  
მიღერი: კარგად, რა მიშავს.  
კიმურა: ოზავა სეიჯის კონცერტზე ერთად ხომ არ წავსულიყავით?  
მიღერი: რა კარგია. როდის?  
კიმურა: მომავალი კვირის პარასკევ სადამოს.  
მიღერი: პარასკევ სადამოს ცოტა ძნელია.  
კიმურა: ვერ წამოხვალთ?  
მიღერი: ვერა, ამხანაგთან ვარ შეთანხმებული და...  
კიმურა: რა დასანანია!  
მიღერი: დიახ. სხვა დროს იყოს.

### III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია ONGAKU SUPŌTSU EIGA მუსიკა კინო სპორტი

#### ongaku მუსიკა

|            |                                          |
|------------|------------------------------------------|
| poppusu    | (pop) პოპი                               |
| rokku      | (rock) როკი                              |
| jazu       | (jazz) ჯაზი                              |
| raten      | (Latin) ლათინურ-ამერიკული                |
| kurashikku | (classical) კლასიკური მუსიკა             |
| min'yō     | ფოლკლორი                                 |
| enka       | ტრადიციული იაპონური პოპულარული სიმღერები |
| opera      | ოპერა                                    |

#### eiga ფილმი

|              |                                                 |
|--------------|-------------------------------------------------|
| SF           | (science fiction) ფანტასტიკა                    |
| horā         | საშინელებათა ფილმი                              |
| anime        | მულტფილმი                                       |
| dokumentarii | (documentary) დოკუმენტური ფილმი                 |
| ren'ai       | ფილმი სიყვარულზე                                |
| misterii     | (mystery) მისტიკა, დეტექტივი                    |
| bungei       | კლასიკური ნაწარმოების მიხედვით გადაღებული ფილმი |
| sensō        | ფილმი ომზე                                      |
| akushon      | (action) "ბოევიკი"                              |
| kigeki       | კომედია                                         |

#### supōtsu (sports) სპორტი

|               |                               |                |                            |
|---------------|-------------------------------|----------------|----------------------------|
| sofutobōru    | (softball) სოფთბოლი           | sukēto         | (skating) ციგურებით სრიალი |
| sakkā         | (soccer) ფეხბურთი             | yakyū          | ბეისბოლი                   |
| ragubii       | (rugby) რაგბი                 | takkyū/ pinpon | (ping-pong) პინგ-პონგი     |
| barēbōru      | (volleyball) ფრენბურთი        | sumō           | სუმო                       |
| basukettobōru | (basketball) კალათბურთი       | jūdō           | ძიუდო                      |
| tenisu        | (tennis) ჩოგბურთი             | kendō          | იაპონური ფარიკაობა         |
| bōringu       | (bowling) ბოულინგი            | suiei          | ცურვა                      |
| skii          | (skiing) თხილამურებით სიარული |                |                            |

## IV გრამატიკა bumpō

## 1. ა ga arimasu / wakarimasu

## ა ga suki desu / kirai desu / jōzu desu / heta desu

გარდამავალი ზმნის ობიექტს დაერთვის თანდებული o, ხოლო arimasu და wakarimasu ზმნის ობიექტებს თანდებული ga.

suki desu, kirai desu, jōzu desu და heta desu-იც მოითხოვს ობიექტს, რომელსაც აგრეთვე დაერთვის თანდებული ga.

watashi wa itaria-ryōri ga suki desu. მე მიყვარს იტალიური კერძები.

watashi wa nihongo ga wakarimasu. მე მესმის იაპონური ენა.

watashi wa kuruma ga arimasu. მე მყავს მანქანა.

## 2. donna ა

კითხვითი სიტყვა donna წინ უსწრებს კრებით არსებით სახელს. მისი საშუალებით შეიძლება ვთხოვოთ მსმენელს კრებითი არსებითი სახელით გამოხატული საგნებიდან გამოყოფს ერთ-ერთი.

donna supōtsu ga suki desu ka. რომელი სპორტი მოგწონთ?

sakkā ga sukidesu. ფეხბურთი მომწონს.

## 3. yoku / daitai / takusan / sukoshi / amari / zenzen

ეს ზმნიზედები დგანან უშუალოდ იმ ზმნის წინ, რომელსაც ეკუთვნიან. ცხრილში მოცემულია მათი გამოყენების წესი.

| დონე     | ზმნიზედა + ზმნა<br>მტკიცებით ფორმაში | ზმნიზედა + ზმნა<br>უარყოფით ფორმაში |
|----------|--------------------------------------|-------------------------------------|
| მაღალი   | yoku wakarimasu                      |                                     |
| საშუალო  | daitai wakarimasu                    |                                     |
| დაბალი   | sukoshi wakarimasu                   | amari wakarimasen                   |
| არანაირი |                                      | zenzen wakarimasen                  |

| რაოდენობა | ზმნიზედა + ზმნა<br>მტკიცებით ფორმაში | ზმნიზედა + ზმნა<br>უარყოფით ფორმაში |
|-----------|--------------------------------------|-------------------------------------|
| ბევრი     | takusan arimasu                      |                                     |
| ცოტა      | sukoshi arimasu                      | amari arimasen                      |
| არაფერი   |                                      | zenzen arimasen                     |

eigo ga yoku wakarimasu.

მე კარგად მესმის ინგლისური.

eigo ga sukoshi wakarimasu.

მე ცოტა მესმის ინგლისური.

eigo ga amari wakarimasen.

მე მთლად კარგად არ მესმის ინგლისური.

okane ga takusan arimasu.

მე ბევრი ფული მაქვს.

okane ga zenzen arimasen.

მე ფული სულ არ მაქვს.

**შენი შენა:** ზმნიზელები sukoshi და zenzen შეიძლება ზედსართავ სახელსაც ეკუთვნოდეს.

koko wa sukoshi samui desu. აქ ცოტა ცივა.

ano eiga wa zenzen omoshirokunai desu.

ეს ფილმი სულაც არ არის საინტერესო.

#### 4. ♡1 kara ♡2

kara აკავშირებს ორ წინადადებას, რათა აჩვენოს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მათ შორის.

♡1 არის მიზეზი, ხოლო ♡2 მისი შედეგი.

jikan ga arimasen kara, shinbun o yomimasen.

რადგან დრო არ მაქვს, გაზეთებს არ ვკითხულობ.

შეიძლება წინადადების წყობა შევცვალოთ, ანუ ჯერ ვთქვათ შედეგი (♡2), ხოლო შემდეგ დავუმატოთ მიზეზი (♡1).

maiasa shinbun o yomimasu ka. გაზეთს ყოველ დღით კითხულობთ?

ie, yomimasen, jikan ga arimasen kara.

არა, არ ვკითხულობ, (იმიტომ რომ) დრო არ მაქვს.

#### 5. dōshite

კითხვითი სიტყვა dōshite გამოიყენება მიზეზის შესაკითხად. ამ კითხვაზე პასუხი მთავრდება სიტყვით kara.

dōshite asa shinbun o yomimasen ka.

დღით გაზეთს რატომ არ კითხულობთ?

jikan ga arimasen kara. დრო არ მაქვს და იმიტომ.

კითხვა dōshite desu ka გამოიყენება აგრეთვე იმის მიზეზის შესაკითხად, რაც მოსაუბრემ თქვა.

kyō wa hayaku kaerimasu.

დღეს ადრე დავბრუნდები.

dōshite desuka.

რატომ?

kodomo no tanjōbi desu kara.

ბავშვის დაბადების დღეა და იმიტომ.

მეათე ბაკვეთილი  
DAI JUKKA

I სიტყვები და გამოთქმები kotoba to hyōgen

|         |                                                          |
|---------|----------------------------------------------------------|
| いる      | ყოფნა (“არის” სულიერის შემთხვევაში)                      |
| ある      | არსებობა (“არის”, “არსებობს” უსულო საგნების შემთხვევაში) |
| いろいろ[な] | სხვადასხვა                                               |
| おとこのひと  | კაცი                                                     |
| おんなのひと  | ქალი                                                     |
| おとこのこ   | ბიჭი                                                     |
| おんなのこ   | გოგო                                                     |
| いぬ      | ძაღლი                                                    |
| ねこ      | კატა                                                     |
| き       | ხე                                                       |
| もの      | ნივთი                                                    |
| フィルム    | (film) ფირი                                              |
| でんち     | ბატარეა                                                  |
| はこ      | ყუთი                                                     |
| スイッチ    | (switch) ჩამრთველი                                       |
| れいぞうこ   | მაცივარი                                                 |
| テーブル    | (table) მაგიდა                                           |
| ベッド     | (bed) საწოლი                                             |
| たな      | თარო                                                     |
| ドア      | (door) კარი                                              |
| まど      | ფანჯარა                                                  |
| ポスト     | საფოსტო ყუთი                                             |
| ビル      | (biru) შენობა                                            |
| こうえん    | პარკი, ბაღი                                              |
| きっさてん   | კაფე, სასადილო                                           |
| ほんや     | წიგნების მაღაზია                                         |
| ~や      | ~მაღაზია                                                 |
| のりば     | ტრანსპორტის გაჩერება                                     |
| けん      | პრეფექტურა                                               |
| うえ      | ზემოთ                                                    |
| した      | ქვემოთ                                                   |
| まえ      | წინ                                                      |
| うしろ     | უკან                                                     |
| みぎ      | მარჯვნივ                                                 |

|     |                   |
|-----|-------------------|
| ひだり | მარცხნივ          |
| なか  | შუაში, შიგ        |
| そと  | გარეთ             |
| となり | მეზობლად, გვერდით |
| ちかく | ახლოს             |
| あいだ | შორის             |

|          |                                           |
|----------|-------------------------------------------|
| ~や ~[など] | ~,~,~და სხვა                              |
| いちばん~    | ყველაზე ~                                 |
| -だんめ     | მე-თარო (dan თვლის სუფიქსი თაროებისათვის) |

|              |                                  |
|--------------|----------------------------------|
| かいわ          | დიალოგი                          |
| [どうも] すみません。 | გმადლობთ, უკაცრავად.             |
| チリソース        | (chili sauce) წიწაკიანი საჭებელა |
| おく           | უკანა მხარე, შიდა ნაწილი, სიღრმე |
| スパイスコーナー     | (spice corner) სუნელების კუთხე   |

---

|               |                                       |
|---------------|---------------------------------------|
| とうきょうディズニーランド | (Tokyo Disneyland) ტოკიოს დისნეილენდი |
| ユニバーヤストア      | (სუპერმარკეტის სახელი)                |

## II თარგმანი hon'yaku

### წინადადების მოდელი bunkē

1. იქ ბატონი სატოა.
2. მაგიდაზე ფოტოსურათია.
3. ოჯახი ნიუ-იორკშია.
4. ტოკიოს დისნეილენდი ჩიბას პრეფექტურაშია.

### წინადადების მაგალითები rēbun

1. იქ ვიდაც კაცია, არა? ვინ არის ის კაცი?  
ის მაცუმოტოა, IMC-დან.
2. აქ მახლობლად ტელეფონი არის?  
დიახ, აი იქ არის.
3. ვინ არის ბაღში?  
არავინ არის. კატაა.
4. რა არის ყუთში?  
ძველი წერილები, სურათები და სხვა.
5. ბატონი მილერი სად არის?  
საკონფერენციო დარბაზშია.
6. ფოსტა სად არის?  
სადგურის მახლობლად, ბანკის წინ არის.

### დიალოგი kaiwa

წიწაკიანი საწებელა ხომ არა გაქვთ?

- მილერი: უკაცრავად, სუპერმარკეტი “იუნიუა” სად არის?  
ქალი: იუნიუა?  
ხედავთ, იქ თეთრი შენობაა. იმ თეთრ შენობაშია.  
მილერი: დიახ, გმადლობთ.  
ქალი: არაფერს.

- მილერი: წიწაკიანი საწებელა გაქვთ?  
გამყიდველი: დიახ.  
მარჯვნივ სიდრმეში სუნელების კუთხეა. წიწაკიანი საწებელა  
ქვემოდან მეორე თაროზეა.  
მილერი: გასაგებია. გმადლობთ.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

UCHI NO NAKA სახლში

|           |                            |            |                |
|-----------|----------------------------|------------|----------------|
| genkan    | შესასვლელი                 | shokudō    | სასადილო ოთახი |
| toire     | ტუალეტი                    | ima        | სასტუმრო ოთახი |
| furoba    | სააბაზანო                  | shinshitsu | საწოლი ოთახი   |
| senmenjo  | პირსაბანი, სამრეცხაო ოთახი | rōka       | კორიდორი       |
| daidokoro | სამზარეულო                 | beranda    | აივანი         |




როგორ ვისარგებლოთ იაპონური სააბაზანოთი

იაპონური აბაზანა ჩვეულებრივ აბაზანასთან შედარებით მოკლეა, სამაგიეროდ ღრმაა. ასე რომ, შიგ კი არ წევით, არამედ ჯდებით. წყალი, როგორც წესი, ჩვეულებრივზე ცხელია.

1. აბაზანაში ჩასვლამდე ტანი კარგად უნდა დაიბანოთ საპნით და წყალი გადაივლოთ.

2. აბაზანა დაღლილობის მოსახსნელად და ცხელი წყლით სიამოვნების მისაღებადაა. ამიტომ აბაზანაში ჩასვლის შემდეგ საპონი ან შამპუნი არ უნდა იხმაროთ.

3. აბაზანიდან ამოსვლის შემდეგ წყალს ნუ გაუშვებთ, აბაზანას თავსახური დააფარეთ. შესაძლებელია, რომ ოჯახის სხვა წევრმაც ისარგებლოს იგივე წყლით. თქვენ ხომ ის სუფთა დატოვეთ!



როგორ ვისარგებლოთ ტუალეტით

იაპონური ტიპის

ევროპული ტიპის



## IV გრამატიკა bumpō

### 1. ა ga arimasu / imasu

ეს ფორმა გამოიყენება მაშინ, როდესაც გვინდა ავლნიშნოთ ვინმეს ან რაიმეს ყოფნა ან არსებობა. ამ ტიპის წინადადებაში ნივთი ან პირი, რომელიც შემასმენლის ობიექტს წარმოადგენს აღინიშნება თანდებულებით **ga**.

1) arimasu გამოიყენება საგნებთან (უსულო).

konpyūtā ga arimasu. კომპიუტერი არის.

sakura ga arimasu. საკურა არის.

kōen ga arimasu. ბაღი არის.

2) imasu გამოიყენება სულიერთან.

otokono hito ga imasu. კაცი არის.

inu ga imasu. ძაღლი არის.

### 2. ა<sub>1</sub> (ადგილი) ni ა<sub>2</sub> ga arimasu / imasu

1) ადგილი, სადაც ა<sub>2</sub> მდებარეობს, აღინიშნება თანდებულებით **ni**.

watashi no heya ni tsukue ga arimasu. ჩემს ოთახში არის (მერხი) მაგიდა.

jimusho ni mirā san ga imasu. ოფისში ბატონი მილერია.

2) იგივე მოდელის მიხედვით აიგება კითხვითი წინადადება ბოლოში დართული **ka** ნაწილაკით. ამასთან, თუ შეკითხვა ეხება უსულო საგნებს, გამოიყენება კითხვითი სიტყვა **nani**, ხოლო სულიერის შემთხვევაში – **dare**.

chika ni nani ga arimasu ka. მიწისქვეშა სართულზე რა არის?

restoran ga arimasu. რესტორნებია.

uketsuke ni dare ga imasu ka.

ვინ არის მისაღებში?

kimura san ga imasu.

ბატონი კიმურაა.

### 3. ა<sub>1</sub> wa ა<sub>2</sub> (ადგილი) ni arimasu / imasu

1) ამ მოდელის მიხედვით აგებულ წინადადებაში მოსაუბრე თემად ირჩევს ა<sub>1</sub>-ს და გვიხსნის, თუ სად მდებარეობს ის. თემად გვევლინება მოსაუბრისა და მსმენელისათვის უკვე ნაცნობი რაიმე ან ვინმე. ამიტომ ა<sub>1</sub>-ს დაერთვის თანდებულებით **wa**, რომელიც წინადადების თემის მაჩვენებელია და არა **ga**.

tōkyō dizuniirando wa chiba-ken ni arimasu.

ტოკიოს დისნეილენდი ჩიბას პრეფექტურაშია.

mirā san wa jimusho ni imasu. ბატონი მილერი ოფისშია.

2) იგივე ფორმით შეგვიძლია ვიკითხოთ, სად არის ა<sub>1</sub>. აქ გამოიყენება კითხვითი სიტყვა **doko**.

tōkyō dizuniirando wa doko ni arimasu ka. სად არის ტოკიოს დისნეილენდი?

chiba ken ni arimasu. ჩიბას პრეფექტურაშია.

mirā san wa doko ni imasuka.

სად არის ბატონი მილერი?

jimusho ni imasu.

ოფისშია.

**შენიშვნა:** თუ ზმნური შემასმენელი კონტექსტიდან ცხადია, მაშინ ის შეიძლება შეიცვალოს სიტყვით **desu**. ამგვარად ა1 wa ა2(ადგილი) ni arimasu/imasu მოდელი შეიცვლება ა1 wa ა2 (ადგილი) desu მოდელით, როგორც თქვენ უკვე ისწავლეთ მესამე გაკვეთილში.

tōkyō dizuniirando wa doko ni arimasu ka. ტოკიოს დისნეილენდი სად არის?  
chiba-ken desu. ჩიბას პრეფექტურაშია.

#### 4. ა1(ნივთი / პიროვნება / ადგილი) no ა2 (მდებარეობა)

ue, shita, mae, ushiro, migi, hidari, naka, soto, tonari, chikaku და aida

მდებარეობის აღმნიშვნელი არსებითი სახელებია.

tsukue no ue ni shashin ga arimasu. მაგიდაზე (მერხზე) ფოტოსურათია.  
yūbinkyoku wa ginkō no tonari ni arimasu. ფოსტა არის ბანკის გვერდით.

**შენიშვნა:** ადგილის გარემოების შემდეგ შეიძლება მოდიოდეს არა მხოლოდ ni თანდებული არამედ de-ც. ეს ხდება მაშინ, როდესაც მოცემულ ადგილას მოქმედება შესრულდა. ქვემოთ მოყვანილ მაგალითში ადამიანები შეხვდნენ ერთმანეთს.

eki no chikaku de tomodachi ni aimashita.

სადგურის ახლოს მეგობარს შევხვდი.

#### 5. ა1 ya ა2

ya აკავშირებს არსებით სახელებს. თუ არსებითი სახელები დაკავშირებულია to ნაწილაკით, ეს ნიშნავს, რომ ნახსენებია ყველა არსებითი სახელი, რომლის შესახებაც არის ლაპარაკი. ya ნაწილაკით დაკავშირებისას მოყვანილია მხოლოდ რამდენიმე მათგანი. ასეთ შემთხვევაში ხანდახან ბოლო არსებით სახელს ერთვის nado, რაც გვიჩვენებს, რომ იგულისხმება ამავე ტიპის სხვა არსებითი სახელებიც.

hako no naka ni tegami ya shashin ga arimasu.

ყუთში არის წერილები, ფოტოსურათები და სხვა ნივთები.

hako no naka ni tegami ya shashin nado ga arimasu.

ყუთში არის წერილები, ფოტოსურათები და სხვა ნივთები.

#### 6. სიტყვა ან V desu ka

ნაწილაკი ka-ს საშუალებით შეგვიძლია გადავამოწმოთ სწორედ გავიგეთ თუ არა მოსაუბრის ნათქვამი. ვიღებთ მოსაუბრის მიერ ნათქვამ სიტყვას ან წინადადებას და ვუმატებთ desu ka-ს.

sumimasen. yunyūya-sutoa wa doko desu ka.

უკაცრავად, სად არის სუპერმარკეტი “იუნიუა“?

yunyūya-sutoa desu ka. ano biru no naka desu.

სუპერმარკეტი “იუნიუა“? ის იმ შენობაშია.

#### 7. chiri-sōsu wa arimasen ka

ამ წინადადებას იგივე მნიშვნელობა აქვს რაც chiri-sōsu wa arimasu ka-ს იმ განსხვავებით, რომ თუ ვიტყვით arimasen ka ამით გამოვხატავთ ჩვენს მორიდებას ან პატივისცემას მსმენელის მიმართ იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ მზად ვართ უარყოფითი პასუხისათვისაც.

chiri-sōsu wa arimasu ka.

წიწაკიანი საწებელა გაქვთ?

chiri-sōsu wa arimasen ka.

წიწაკიანი საწებელა ხომ არა გაქვთ?

მეთერთმეტე ბაკვეთილი  
DAI JŪIKKA

I სიტყვები და გამოთქმები kotoba to hyōgen

|          |                                                                 |
|----------|-----------------------------------------------------------------|
| いる       | ყოლა                                                            |
| [こどもが~]  | [ბავშვი ჰყავს]                                                  |
| いる       | ყოფნა                                                           |
| [にほんに~]  | [იაპონიაში არის]                                                |
| かかる      | საჭიროება (სჭირდება დრო ან ფული)                                |
| やすむ      | დასვენება, გაცდენა, შვებულების აღება                            |
| [かいしゃを~] | [სამუშაოს აცდენს]                                               |
| ひとつ      | ერთი                                                            |
| ふたつ      | ორი                                                             |
| みっつ      | სამი                                                            |
| よっつ      | ოთხი                                                            |
| いつつ      | ხუთი                                                            |
| むっつ      | ექვსი                                                           |
| ななつ      | შვიდი                                                           |
| やっつ      | რვა                                                             |
| このつ      | ცხრა                                                            |
| とお       | ათი                                                             |
| いくつ      | რამდენი                                                         |
| ひとり      | ერთი ადამიანი                                                   |
| ふたり      | ორი ადამიანი                                                    |
| -にん      | -ადამიანი                                                       |
| -だい      | თვლის სუფიქსი მანქანების, ტელევიზორების და სხვა ტექნიკისთვის    |
| -まい      | თვლის სუფიქსი ქაღალდების, მარკების და სხვა ბრტყელი საგნებისთვის |
| -かい      | -ჯერ                                                            |
| りんご      | ვაშლი                                                           |
| みかん      | მანდარინი                                                       |
| サンドイッチ   | (sandwich) სენდვიჩი                                             |
| カレー[ライス] | კარე-რაისი (ინდური წარმოშობის იაპონური საჭმელი ბრინჯით)         |
| アイスクリーム  | (ice cream) ნაყინი                                              |
| きって      | საფოსტო მარკა                                                   |
| はがき      | ღია ბარათი                                                      |
| ふうとう     | კონვერტი                                                        |
| そくたつ     | ჩქარი ფოსტა                                                     |
| かきとめ     | შეკვეთილი ფოსტა                                                 |

|                   |                                                                     |
|-------------------|---------------------------------------------------------------------|
| エアメール<br>(こうくうびん) | (airmail) ავიაფოსტა                                                 |
| ふなびん              | ფოსტის გემით გაგზავნა                                               |
| りょうしん             | მშობლები                                                            |
| きょうだい             | და-ძმა                                                              |
| あに                | (ჩემი) უფროსი ძმა                                                   |
| おにいさん             | უფროსი ძმა (ვინმეს უფროსი ძმა ან მიმართვა საკუთარი უფროსი ძმისადმი) |
| あね                | (ჩემი) უფროსი და                                                    |
| おねえさん             | უფროსი და (ვინმეს უფროსი და ან მიმართვა საკუთარი უფროსი დისადმი)    |
| おとうと              | (ჩემი) უმცროსი ძმა                                                  |
| おとうとさん            | (ვინმეს) უმცროსი ძმა                                                |
| いもうと              | (ჩემი) უმცროსი და                                                   |
| いもうとさん            | (ვინმეს) უმცროსი და                                                 |
| がいこく              | უცხოეთი                                                             |
| -じかん              | -დრო                                                                |
| -しゅうかん            | -კვირა                                                              |
| -かげつ              | -თვე                                                                |
| -ねん               | -წელი                                                               |
| ~ぐらい              | დაახლოებით ~                                                        |
| どのくらい             | (დაახლოებით) რამდენი                                                |
| ぜんぶで              | მთლიანად                                                            |
| みんな               | ყველა, ყველაფერი                                                    |
| ~だけ               | მხოლოდ ~                                                            |
| いらっしやいませ。         | მობრძანდით (ასე ესალმებიან მაღაზიაში ან კაფეში შემსვლელებს).        |

|              |                                                    |
|--------------|----------------------------------------------------|
| かいわ          | დიალოგი                                            |
| いい[お]てんきですね。 | რა კარგი ამინდია!                                  |
| おでかけですか。     | მიბრძანდებით?                                      |
| ちよっと ~まで。    | აქვე ~ მივდივარ                                    |
| いっていらっしやい。   | მიბრძანდით (ამ სიტყვებით აცილებენ წამსვლელს)       |
| いってまいります。    | მივდივარ (სიტყვასიტყვით: მივდივარ და დავბრუნდები). |
| それから         | ამის შემდეგ                                        |
| オーストラリア      | ავსტრალია                                          |

II თარგმანი **hon'yaku**

წინადადების მოდელი **bunkē**

1. საკონფერენციო დარბაზში 7 მაგიდაა.
2. მე 7 წელია რაც იაპონიაში ვარ.

წინადადების მაგალითები **rēbun**

1. რამდენი ვაშლი იყიდეთ?  
4 ცალი ვიყიდე.
2. მომეცით 5 ცალი 80 იენიანი მარკა და 2 ცალი ღია ბარათი.  
ღიას, სულ 500 იენი.
3. ჰუჯის უნივერსიტეტში უცხოელი მასწავლებლები არიან?  
ღიას, სამი. ყველა ამერიკელია.
4. ოჯახში რამდენი ხართ?  
ხუთნი ვართ. მშობლები, უფროსი და და უფროსი ძმა მყავს.
5. კვირაში რამდენჯერ აკეთებთ ტესტს?  
ასე 2 ჯერ.
6. დაახლოებით რამდენი ხანი სწავლობდით ბატონო ტანაკა ესპანურს?  
3 თვე ვსწავლობდი.  
მხოლოდ სამი თვე? რა კარგად იცით!
7. რა დროა საჭირო ოსაკადან ტოკიოში შინკანსენით ჩასასვლელად?  
ორსაათნახევარია სჭირო.

დიალოგი **kaiwa**

გემით გააგზავნეთ, თუ შეიძლება

დარაჯი:  
ვანი:  
დარაჯი:  
ვანი:

კარგი ამინდია, არა? მიბრძანდებით?  
ღიას, ფოსტაში მიუდივარ.  
კეთილი, კიდევ გნახავთ.  
ნახვამდის!

ვანი:  
ფოსტის თანამშრომელი:  
ვანი:  
ფოსტის თანამშრომელი:  
ვანი:  
ფოსტის თანამშრომელი:  
ვანი:  
ფოსტის თანამშრომელი:  
ვანი:

ჩქარი ფოსტით თუ შეიძლება.  
გასაგებია. ავსტრალიაში, არა? 370 იენი.  
ახლა ეს ამანათიც.  
გემით თუ თვითმფრინავით?  
გემით რა ღირს?  
500 იენი.  
რა დრო სჭირდება?  
დაახლოებით 1 თვე.  
კარგი, გემით გააგზავნეთ.

## III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

## RYŌRI (MENYŪ) კერძები (მენიუ)

|                |                                                                       |
|----------------|-----------------------------------------------------------------------|
| teishoku       | კერძების ნაკრები შემდგარი პირველი (წვნიანი) და მეორე თავი საჭმლისაგან |
| ranchi         | (lunch) ევროპული საჭმელის ნაკრები (სადილი)                            |
| tendon         | ფიალა მოხარშული ბრინჯით, შემწვარი თევზითა და ბოსტნეულით               |
| oyakodon       | ფიალა მოხარშული ბრინჯით, ქათმის ხორციითა და კვერცხით.                 |
| gyūdon         | ფიალა მოხარშული ბრინჯითა და ძროხის ხორციით                            |
| yakiniku       | შემწვარი ხორცი                                                        |
| yasai-itame    | მთუშული ბოსტნეული                                                     |
| tsukemono      | იაპონური მწნილი                                                       |
| misoshiru      | მისოს სუპი                                                            |
| onigiri        | მოხარშული ბრინჯის ბურთულები                                           |
| tempura        | შემწვარი ზღვის პროდუქტები და ბოსტნეული                                |
| sushi          | მოხარშული ბრინჯი და უმი თევზი                                         |
| udon           | ხორბლის ფქვილისაგან დამზადებული იაპონური მაკარონი                     |
| soba           | წიწიბურას ფქვილისაგან დამზადებული იაპონური მაკარონი                   |
| rāmen          | ჩინური სუპი მაკარონი, ხორციითა და ბოსტნეულით                          |
| yaki-soba      | ჩინური შემწვარი მაკარონი ღორის ხორციითა და ბოსტნეულით                 |
| okonomiyaki    | ერთგვარი კვერი ხორციით, ბოსტნეულითა და კვერცხით                       |
| karē-raisu     | ბოსტნეული და ხორცი კარეს სოუსით და ბრინჯით (ინდ.)                     |
| hanbāgu        | (hamburg steak) კატლეტი                                               |
| ebi-furai      | შემწვარი ლანგუსტი (ომარი), კრევეტები                                  |
| furaido-chikin | (fried chicken) შემწვარი ქათმის ხორცი                                 |
| sarada         | (salad) სალათი                                                        |
| sūpu           | (soup) სუპი                                                           |
| supagetii      | (spaghetti) სპაგეტი                                                   |
| piza           | (pizza) პიცა                                                          |
| hanbāgā        | (hamburger) ჰამბურგერი                                                |
| sandoicchi     | (sandwich) სენდვიჩი                                                   |
| tōsuto         | (toast) ტოსტი                                                         |

## სასმელები

|       |                  |
|-------|------------------|
| kōhii | (coffee) ყავა    |
| kōcha | ჩაი              |
| ocha  | მწვანე ჩაი       |
| kokoa | კაკაო            |
| jūsu  | (juice) წვენი    |
| kōra  | (cola) კოკა-კოლა |

## IV გრამატიკა bumpō

### 1. თვლა

1) hitotsu, futatsu... tō არის ძირეული იაპონური წარმოშობის რიცხვითი სახელები. ამ სიტყვებს თვლის სუფიქსი არ ემატება.

2) ichi, ni... jū არის ჩინური წარმოშობის რიცხვითი სახელები. ამ სიტყვებთან საჭიროა თვლის სუფიქსის დამატება. არსებობს მრავალი თვლის სუფიქსი. ზოგიერთი მათგანი მოყვანილია ცხრილში (გამონაკლისები ხაზგასმულია).

-nin გამოიყენება ადამიანების დასათვლელად, გარდა "ერთი და ორი ადამიანისა", რომელიც აღინიშნება სპეციალური სიტყვებით: **hitori** და **futari**.

|                |               |                   |                |
|----------------|---------------|-------------------|----------------|
| <b>hitori</b>  | ერთი ადამიანი | <b>roku-nin</b>   | ექვსი ადამიანი |
| <b>futari</b>  | ორი ადამიანი  | <b>shichi-nin</b> | შვიდი ადამიანი |
| <b>san-nin</b> | სამი ადამიანი | <b>hachi-nin</b>  | რვა ადამიანი   |
| <b>yo-nin</b>  | ოთხი ადამიანი | <b>kyū-nin</b>    | ცხრა ადამიანი  |
| <b>go-nin</b>  | ხუთი ადამიანი | <b>jū-nin</b>     | ათი ადამიანი   |

|                                                                                                          |              |                                                                                                       |              |
|----------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------|--------------|
| <b>-dai</b> თვლის სუფიქსი მანქანებისათვის, ველოსიპედებისათვის, ტელევიზორებისათვის და სხვა ტექნიკისათვის. |              | <b>-mai</b> თვლის სუფიქსი ბტრეკელი საგნები-სათვის ( მაგ.: ქაღალდები, თევზები, პერანგები, CD და ა. შ.) |              |
| <b>ichi-dai</b>                                                                                          | ერთი მანქანა | <b>ichi-mai</b>                                                                                       | ერთი ქაღალდი |
| <b>ni-dai</b>                                                                                            | ორი მანქანა  | <b>ni-mai</b>                                                                                         | ორი ქაღალდი  |
| <b>san-dai</b>                                                                                           | სამი მანქანა | <b>san-mai</b>                                                                                        | სამი ქაღალდი |
| და ა.შ.                                                                                                  |              | და ა.შ.                                                                                               |              |
| <b>jū-dai</b>                                                                                            | ათი მანქანა  | <b>jū-mai</b>                                                                                         | ათი ქაღალდი  |

|                                          |            |                                            |          |
|------------------------------------------|------------|--------------------------------------------|----------|
| <b>-shūkan</b> თვლის სუფიქსი კვირისათვის |            | <b>-kagetsu</b> თვლის სუფიქსი თვეებისათვის |          |
| <b>i-sshūkan</b>                         | ერთი კვირა | <b>i-kkagetsu</b>                          | ერთი თვე |
| <b>ni-shūkan</b>                         | ორი კვირა  | <b>ni-kagetsu</b>                          | ორი თვე  |
| <b>san-shūkan</b>                        | სამი კვირა | <b>san-kagetsu</b>                         | სამი თვე |
| და ა.შ.                                  |            | და ა.შ.                                    |          |

|                                       |           |                                    |          |
|---------------------------------------|-----------|------------------------------------|----------|
| <b>-nen</b> თვლის სუფიქსი წლებისათვის |           | დღეების დათვლა ხდება შემდეგნაირად: |          |
| <b>ichi-nen</b>                       | ერთი წელი | <b>ichi-nichi</b>                  | ერთი დღე |
| <b>ni-nen</b>                         | ორი წელი  | <b>futsuka</b>                     | ორი დღე  |
| <b>san-nen</b>                        | სამი წელი | <b>mikka</b>                       | სამი დღე |
| <b>yo-nen</b>                         | ოთხი წელი | <b>yokka</b>                       | ოთხი დღე |
| და ა.შ.                               |           | და ა.შ.                            |          |

-fun წუთების დასათვლელი სუფიქსია.

-jikan საათების (დროის) დასათვლელი სუფიქსია.

სხვა თვლის სუფიქსები მოცემულია დამატებაში (იხ. 169, 170 გვ.)

### 3) გამოყენება

წინადადებაში რიცხვითი სახელი მასზე დართულ თვლის სუფიქსთან ერთად დგას შემასმენლის წინ. ჩვეულებრივ, ეს წესი არ მოქმედებს დროის სათვლელი სუფიქსების შემთხვევაში.

ringo o yottsu kaimashita. ოთხი ვაშლი ვიყიდე.  
gaikokujin no gakusei ga futari imasu. უცხოელი სტუდენტები ორნი არიან.  
kuni de 2-kagetsu nihon-go o benkyōshimashita.

სამშობლოში 2 თვე ვსწავლობდი იაპონურს.

4) კითხვითი სიტყვა “რამდენი“

(1) ikutsu

ikutsu გამოიყენება იმ ნივთების რაოდენობის შეკითხვისას, რომელიც ითვლება hitotsu, futatsu.... და ა. შ. იაპონური რიცხვითი სახელებით.

mikan o ikutsu kaimashita ka.

რამდენი მანდარინი იყიდეთ?

yattsu kaimashita.

რვა ვიყიდე.

(2) nan ~(თვლის სუფიქსი)

კითხვითი სიტყვა nan გამოიყენება თვლის სუფიქსთან ერთად:

kono kaisha ni gaikokujin ga nan-nin imasu ka.

რამდენი უცხოელია ამ ფირმაში?

5-nin imasu. ხუთია.

maiban nan-jikan nihon-go o benkyōshimasu ka.

ყოველდღე რამდენ საათს მეცადინეობთ იაპონურს?

2-jikan benkyōshimasu. 2 საათს ვმეცადინეობ.

(3) donokurai

გამოიყენება მაშინ, როცა გვინდა ვიკითხოთ, რამდენი დრო სჭირდება რაიმეს გაკეთებას.

donokurai nihon-go wo benkyōshimashita ka.

რამდენ ხანს სწავლობდით იაპონურს?

3-nen benkyōshimashita. 3 წელი ვსწავლობდი.

ōsaka kara tōkyō made donokurai kakarimasu ka.

რა დროა საჭირო ოსაკადან ტოკიოში ჩასასვლელად?

shinkansen de 2-jikan han kakarimasu.

შინკანსენით ორსაათნახევარია საჭირო.

5) gurai

ემატება რიცხვით სახელს და ნიშნავს “დაახლოებით“.

gakkō ni sensei ga 30-nin gurai imasu.

სკოლაში დაახლოებით 30 მასწავლებელია.

15 fun gurai kakarimasu. დაახლოებით 15 წუთი სჭირდება.

**2. დროის გარემოება ni ~kai ზ**

ამ ფორმით შეიძლება ითქვას, თუ რამდენჯერ ხდება მოქმედება დროის მოცემულ მონაკვეთში.

1-kagetsu ni 2-kai eiga o mimasu. მე თვეში ორჯერ ვუყურებ ფილმს.

**3. dake**

ემატება რიცხვით სახელს, ან არსებით სახელს და ნიშნავს “მხოლოდ“.

pawā-denki ni gaikokujin no shain ga hitori dake imasu.

პოვერ-ელექტრიკში მხოლოდ ერთი უცხოელი თანამშრომელია.

yasumi wa nichiyōbi dake desu.

დასვენების დღე მხოლოდ კვირაა.

მეთორმეტე ბაკვეთილი  
DAI JŪNI KA

I სიტყვები და გამოთქმები kotoba to hyōgen

|          |                                             |
|----------|---------------------------------------------|
| かんたん[な]  | ადვილი, მარტივი                             |
| ちかい      | ახლო                                        |
| とおい      | შორი                                        |
| はやい      | ჩქარი, ადრეული                              |
| おそい      | გვიანი                                      |
| おおい      | ბევრი                                       |
| [ひとが~]   | [ხალხი ბევრია]                              |
| すくない     | ცოტა                                        |
| [ひとが~]   | [ხალხი ცოტაა]                               |
| あたたかい    | თბილი                                       |
| すずしい     | გრილი                                       |
| あまい      | ტკბილი                                      |
| からい      | ცხარე                                       |
| おもい      | მძიმე                                       |
| かるい      | მსუბუქი                                     |
| いい       | ჯობნა (უპირატესობის მინიჭება)               |
| [コーヒーが~] | [ყავა ჯობს]                                 |
| きせつ      | სეზონი                                      |
| はる       | გაზაფხული                                   |
| なつ       | ზაფხული                                     |
| あき       | შემოდგომა                                   |
| ふゆ       | ზამთარი                                     |
| てんき      | ამინდი                                      |
| あめ       | წვიმა                                       |
| ゆき       | თოვლი                                       |
| くもり      | მოდრუბლული                                  |
| ホテル      | (Hotel) სასტუმრო                            |
| くうこう     | აეროპორტი                                   |
| うみ       | ზღვა                                        |
| せかい      | მსოფლიო                                     |
| パーティー    | (party) წვეულება                            |
| [お]まつり   | დღესასწაული                                 |
| しけん      | გამოცდა                                     |
| すきやき     | სუკიაკი (მოთუშული ბოსტნეული ძროხის ხორციით) |
| さしみ      | საშიმი (თხლად დაჭრილი უმი თევზი)            |

|       |                                                             |
|-------|-------------------------------------------------------------|
| [お]すし | სუში (ბრინჯი უმი თევზით)                                    |
| てんぷら  | ტემპურა (ზეთში შემწვარი ზღვის პროდუქტები და ბოსტნეული)      |
| いけばな  | იკებანა (ღარნაკში ყვავილების ღამაზად განთავსების ხელოვნება) |
| もみじ   | ნეკერჩხალი, ნეკერჩხლის წითელ-ყვითელი ფოთლები                |
| どちら   | შემოდგომაზე რომელი                                          |
| どちらも  | ორივე                                                       |
| ずっと   | გაცილებით                                                   |
| はじめて  | პირველად                                                    |

|          |                                                                 |
|----------|-----------------------------------------------------------------|
| かいわ      | დიალოგი                                                         |
| ただいま。    | მოვედი; დაბრუნდი; აი, მეც აქ ვარ (სახლში დაბრუნებისას ამბობენ). |
| おかえりなさい。 | კეთილი იყოს შენი დაბრუნება (ასე ეგებებიან სახლში დაბრუნებულს).  |
| すごいですね。  | საოცარია!                                                       |
| でも       | მაგრამ                                                          |
| つかれました。  | დავიღალე.                                                       |

---

|        |                                                      |
|--------|------------------------------------------------------|
| ぎおんまつり | გიონის დღესასწაული (კიოტოს ყველაზე დიდი დღესასწაული) |
| ホンコン   | ჰონკონგი                                             |
| シンガポール | სინგაპური                                            |
| まいにちや  | (მაღაზიის სახელი)                                    |
| ABCストア | (სუპერმარკეტის სახელი)                               |
| ジャパン   | (სუპერმარკეტის სახელი)                               |

## II თარგმანი hon'yaku

### წინადადების მოდელი bunkē

1. გუშინ წვიმადა.
2. გუშინ ციოდა.
3. ჰოკაიდო უფრო დიდია ვიდრე კიუშიუ.
4. მე წელიწადის დროებს შორის ზაფხული მიყვარს ყველაზე მეტად.

### წინადადების მაგალითები rēbun

1. დღეს სიწყნარე იყო?  
არა, არ იყო სიწყნარე.
2. მოგზაურობა სასიამოვნო იყო?  
დიახ, ძალიან სასიამოვნო იყო.
3. კარგი ამინდი იყო?  
არა, არც ისე კარგი იყო.
4. გუშინდელი წვეულება როგორი იყო?  
ძალიან ხალხმრავალი იყო. სხვადასხვა ადამიანს შევხვდი.
5. ტოკიოში ნიუ-იორკთან შედარებით ბევრი ხალხია?  
დიახ, გაცილებით ბევრია.
6. რა უფრო მალე მიდის აეროპორტამდე: ავტობუსი თუ მატარებელი?  
მატარებელი, რადგან ის უფრო ჩქარია.
7. ზღვა გირჩევნიათ თუ მთა.  
მე ორივე მომწონს.
8. იაპონური საჭმელებიდან რა მოგწონთ ყველაზე მეტად?  
ტემპურა ყველაზე მეტად მომწონს.

### დიალოგი kaiwa


დღესასწაული როგორ მოგეწონათ?

- |         |                                                                |
|---------|----------------------------------------------------------------|
| მიღერი: | აი, მეც დავბრუნდი!                                             |
| დარაჯი: | კეთილი იყოს თქვენი დაბრუნება!                                  |
| მიღერი: | ეს საჩუქარია კიოტოდან.                                         |
| დარაჯი: | გმადლობთ, გიონის დღესასწაული როგორ მოგეწონათ?                  |
| მიღერი: | ძალიან საინტერესო იყო. უცხოელებიც ბევრი იყვნენ.                |
| დარაჯი: | გიონი კიოტოს დღესასწაულებს შორის ყველაზე ცნობილი დღესასწაულია. |
| მიღერი: | მართლა?                                                        |
| დარაჯი: | სურათები გადაიღეთ?                                             |
| მიღერი: | კი, დაახლოებით 100 სურათი გადავიღე.                            |
| დარაჯი: | დიდებულია!                                                     |
| მიღერი: | კი, მაგრამ ცოტა დავიღალე.                                      |

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

MATSURI TO MEISHO

ღმესასწაულები და ცნობილი ადგილები



IV გრამატიკა bumpō

1. წარსული დრო

| არსებითი სახელით ნაწარმოები შემასმენელი |                                                                                                               |                                                                                                                                                       |
|-----------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                         | ახლანდელი / მომავალი დრო                                                                                      | წარსული დრო                                                                                                                                           |
| მტკიცებითი                              | <u>N + desu</u><br>ame desu<br>isu desu                                                                       | <u>N + deshita</u><br>ame deshita<br>isu deshita                                                                                                      |
| უარყოფითი                               | <u>N + ja (dewa) arimasen</u><br>ame ja arimasen<br>ame dewa arimasen<br>isu ja arimasen<br>isu dewa arimasen | <u>N + ja (dewa) arimasen deshita</u><br>ame ja arimasen deshita<br>ame dewa arimasen deshita<br>isu ja arimasen deshita<br>isu dewa arimasen deshita |

| na-ზედსართავი სახელით ნაწარმოები შემასმენელი |                                                                                                                                                  |                                                                                                                                                                                          |
|----------------------------------------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                              | ახლანდელი / მომავალი დრო                                                                                                                         | წარსული დრო                                                                                                                                                                              |
| მტკიცებითი                                   | <u>na-ზდ.სხ.(na-ს გარეშე) + desu</u><br>shizuka desu<br>kantan desu                                                                              | <u>na-ზდ.სხ.(na-ს გარეშე) + deshita</u><br>shizuka deshita<br>kantan deshita                                                                                                             |
| უარყოფითი                                    | <u>na-ზდ.სხ.(na-ს გარეშე) + ja (dewa) arimasen</u><br>shizuka ja arimasen<br>shizuka dewa arimasen<br>kantan ja arimasen<br>kantan dewa arimasen | <u>na-ზდ.სხ.(na-ს გარეშე) + ja (dewa) arimasen deshita</u><br>shizuka ja arimasen deshita<br>shizuka dewa arimasen deshita<br>kantan ja arimasen deshita<br>kantan dewa arimasen deshita |

| i-ზედსართავი სახელით ნაწარმოები შემასმენელი |                                                                                 |                                                                                             |
|---------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------|---------------------------------------------------------------------------------------------|
|                                             | ახლანდელი / მომავალი დრო                                                        | წარსული დრო                                                                                 |
| მტკიცებითი                                  | <u>i-ზდ.სხ. + desu</u><br>atsui desu<br>tanoshii desu                           | <u>i-ზდ.სხ.(i-ს გარეშე) + katta desu</u><br>atsukatta desu<br>tanoshikatta desu             |
| უარყოფითი                                   | <u>i-ზდ.სხ.(i-ს გარეშე) + kunai desu</u><br>atsukunai desu<br>tanoshikunai desu | <u>i-ზდ.სხ.(i-ს გარეშე) + kunakatta desu</u><br>atsukunakatta desu<br>tanoshikunakatta desu |

2. ა1 wa ა2 yori ზდ.სხ. desu

ასეთი ფორმის წინადადება გვიჩვენებს, თუ როგორია ა1 ა2-თან შედარებით.  
kono kuruma wa ano kuruma yori ōkii desu.

ეს მანქანა იმ მანქანასთან შედარებით დიდია.

3. ა1 to ა2 to dochira ga ზდ.სხ desu ka.

ა1/ა2 no hō ga ზდ.სხ desu.

ამ მოდელის მიხედვით ვაგებთ შეკითხვას, რათა გავარკვიოთ: ორი (ა1 და ა2) არსებითი სახელიდან, რომელს უფრო მეტად აქვს ზედსართავი სახელით გამოხატული თვისება. dochira არის კითხვითი სიტყვა, რომელიც ამ დროს გამოიყენება და ნიშნავს „რომელს“.

sakkā to yakyū to dochira ga omoshiroi desu ka.

რომელი უფრო საინტერესოა: ფეხბურთი თუ ბეისბოლი?

sakkā no hō ga omoshiroi desu. ფეხბურთი უფრო საინტერესოა.

ia-san to nino-san to dochira ga tennisu ga jōzu desu ka.

ვინ თამაშობს ჩოგბურთს უკეთესად: ია თუ ნინო?

nino-san no hō ga jōzu desu. ნინო უკეთესად თამაშობს.

hokkaidō to ōsaka to dochira ga suzushii desu ka.

სად უფრო გრილა: ჰოკაიდოზე თუ ოსაკაში?

hokkaidō no hō ga suzushii desu. ჰოკაიდოზე უფრო გრილა.

haru to aki to dochira ga suki desu ka.

რა უფრო გიყვართ: გაზაფხული თუ შემოდგომა?

haru no hō ga suki desu. გაზაფხული უფრო მიყვარს.

4.

|                                  |                                        |                                  |
|----------------------------------|----------------------------------------|----------------------------------|
| <p>ა1 [ no naka ] de</p>         | <p>nani<br/>doko<br/>dare<br/>itsu</p> | <p>ga ichiban ზღ.სხ. desu ka</p> |
| <p>ა2 ga ichiban ზღ.სხ. desu</p> |                                        |                                  |

ასე შეგვიძლია ვიკითხოთ, ა1 კრებითი არსებით სახელში ნაგულისხმებ საგნებს ან მოვლენებს შორის რომელს უფრო მეტად აქვს ზედსართავი სახელით გამოხატული თვისება. პასუხი გვიჩვენებს, რომ ა2-ს ყველაზე მეტად აქვს ეს თვისება. ამ შემთხვევაში კითხვითი სიტყვა შეირჩევა სიტუაციისდა მიხედვით.

nihon ryōri [ no naka ] de nani ga ichiban oishii desu ka.

იაპონური საჭმელებიდან რომელია ყველაზე გემრიელი?

tenpura ga ichiban oishii desu. ყველაზე გემრიელი ტემპურაა.

yōroppa de doko ga ichiban yokatta desu ka.

ევროპაში რომელი ქვეყანა მოგეწონათ ყველაზე მეტად?

suisu ga ichiban yokatta desu. შვედეთი ყველაზე კარგი იყო.

kazokude dare ga ichiban se ga takai desu ka.

ვინ არის ყველაზე მაღალი ოჯახში?

otōto ga ichiban se ga takai desu. უმცროსი ძმა ყველაზე მაღალია.

1-nen de itsu ga ichiban samui desu ka.

წელიწადის ყველაზე ცივი თვე რომელია?

2-gatsu ga ichiban samui desu. ყველაზე ცივი თებერვალია.

**შენი შვნა:** როდესაც სუბიექტი კითხვითი სიტყვაა გამოიყენება თანდებული **ga** (იხილეთ მათე გაკვეთილი **nani ga arimasu ka / dare ga imasu ka**) იგივე წესით, როდესაც ზედსართავი სახელით გამოხატულ შემასმენლიან წინადადების სუბიექტს ესმის კითხვა, კითხვით სიტყვას დაერთვის **ga**.

მეცამეტე ბაკვეთილი  
DAI JŪSAN KA

I სიტყვები და გამოთქმები kotoba to hyōgen

|           |                                                            |
|-----------|------------------------------------------------------------|
| あそぶ       | თამაში, გართობა (თამაშობს, ერთობა)                         |
| およぐ       | ცურვა (ცურავს)                                             |
| むかえる      | დასახვედრად წასვლა, მიკითხვა (მიდის დასახვედრად, აკითხავს) |
| つかれる      | დაღლა (იღლება)                                             |
| だす        | გაგზავნა                                                   |
| [てがみを~]   | [წერილს აგზავნის]                                          |
| はいる       | შესვლა                                                     |
| [きっさてんに~] | [კაფეში შედის]                                             |
| でる        | გამოსვლა                                                   |
| [きっさてんを~] | [კაფედან გამოდის]                                          |
| けっこんする    | დაქორწინება (ქორწინდება)                                   |
| かいものする    | საყიდლებზე სიარული (საყიდლებზე დადის)                      |
| しょくじする    | ჭამა (ჭამს)                                                |
| さんぽする [こう | სეირნობა                                                   |
| えんを~]     | [პარკში სეირნობს]                                          |
| たいへん[な]   | ძალიან ძნელი                                               |
| ほしい       | სასურველი, მინდა                                           |
| さびしい      | მოწყენილი, ნაღვლიანი                                       |
| ひろい       | ფართო                                                      |
| せまい       | ვიწრო                                                      |
| しやくしょ     | მერია                                                      |
| プール       | (pool) საცურაო აუზი                                        |
| かわ        | მდინარე                                                    |
| けいざい      | ეკონომიკა                                                  |
| びじゅつ      | ხელოვნება                                                  |
| つり        | თევზაობა                                                   |
| スキー       | (ski) თხილამურები (~ を する თხილამურებით დადის)              |
| かいぎ       | ყრილობა, კონფერენცია, სხდომა                               |
| とうろく      | რეგისტრაცია                                                |
| しゅうまつ     | პარასკევი საღამო დაშაბათ-კვირა; კვირის ბოლო                |
| ~ころ       | მიახლოებით (რაიმე მითითებული დროის შესახებ)                |
| なにか       | რაიმე                                                      |
| どこか       | სადღაც                                                     |

おなかがすきました。  
おなかがいっぱい  
です。

のどがかわきました。  
そうですね。  
そうしましょう。

მომშივდა.  
დავნაყრდი (გავძეხი).

მომწყურდა; ყელი გამიშრა.  
მართალია; გეთანხმებით.  
ეგრე გავაკეთოთ.

### かいわ

ごちゅうもんは?  
ていしょく  
ぎゅうどん

[しょうしょう]  
おまちください。  
べつべつ

### დიალოგი

თქვენი შეკვეთა?

კერძების ნაკრები (პირველი და მეორე)

გიუდონ (ფიალა ბრინჯით რომელზეც მოყრილია  
ძროხის ხორცის თხელი ნაჭრები)

[ცოტა] მოითმინეთ.

ცალ-ცალკე

### ロシア

つるや  
おはようテレビ

### რუსეთი

(იაპონური რესტორნის სახელი)

(სატელევიზიო პროგრამის სახელი)

## II თარგმანი hon`yaku

### წინადადების მოდელი bunkē

1. პერსონალური კომპიუტერი მინდა.
2. ტემპურა მინდა.
3. საფრანგეთში საჭმელების კეთების სასწავლად მივდივარ.

### წინადადების მაგალითები rēbun

1. ახლა ყველაზე ძალიან რა გინდათ?  
სახლი მინდა.
2. ზაფხულის არდადეგებზე სად გინდათ წასვლა?  
ოკინავაზე მინდა წავიდე.
3. დღეს დავიღალე და არაფრის გაკეთება არ მინდა.  
მართლაც, დღევანდელი კრება დამღლედი იყო.
4. ამ შაბათ-კვირას რას აკეთებთ?  
ბავშვთან ერთად კობეში გემის სანახავად მივდივარ.
5. იაპონიაში რის სასწავლად ჩამოხვედით?  
ეკონომიკის სასწავლად ჩამოვედი.
6. ზამთრის არდადეგებზე სადმე წახვედით?  
ღიას, ვიყავი.  
სად იყავით?  
ჰოკაიდოზე ვიყავი სათხილამუროდ.

### დიალოგი kaiwa

#### ცალ-ცალკე თუ შეიძლება

- იამადა: უკვე 12 საათია. წავიდეთ საჭმელად?  
 მილერი: კი.  
 იამადა: სად წავიდეთ?  
 მილერი: ჰოო, დღეს იაპონური საჭმელი მინდა.  
 იამადა: მაშინ "ცურუ-ია" -ში წავიდეთ.

- ოფიცინტი: რას ინებებთ?  
 მილერი: მე ტემპურას კომპლექტი.  
 იამადა: მე "გიუდონი".  
 ოფიცინტი: ტემპურას კომპლექტი და გიუდონი, არა? ცოტა ხანი მოითმინეთ.

- ოფიცინტი: 1 680 იენისაა.  
 მილერი: უკაცრავად. ცალ-ცალკე თუ შეიძლება.  
 ოფიცინტი: კარგით. ტემპურას კომპლექტი 980 იენი, გიუდონი 700 იენი.

## III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

## MACHI NO NAKA : ქალაქში

|                        |                          |             |                                                     |
|------------------------|--------------------------|-------------|-----------------------------------------------------|
| hakubutsukan           | მუზეუმი                  | shiyakusho  | მერია                                               |
| bijutsukan             | ხელოვნების მუზეუმი       | keisatsusho | პოლიცია                                             |
| toshokan               | ბიბლიოთეკა               | kōban       | პოლიციის პუნქტი                                     |
| eigakan                | კინოთეატრი               | shōbōsho    | სახანძრო                                            |
| dōbutsuen              | ზოოპარკი                 | chūshajō    | მანქანის სადგომი                                    |
| shokubutsuen           | ბოტანიკური ბაღი          | daigaku     | უნივერსიტეტი                                        |
| yūenchi                | პარკი<br>ატრაქციონებით   | kōkō        | სკოლა (ზედა კლასები)                                |
| o-tera                 | ბუდისტური ტაძარი         | chūgakkō    | სკოლა (საშუალო)                                     |
| jinja                  | სინტოისტური ტაძარი       | shōgakkō    | სკოლა (დაწყებითი)                                   |
| kyōkai                 | ქრისტიანული<br>ეკლესია   | yōchien     | საბავშვო ბაღი                                       |
| mosuku                 | მეჩეთი ( <i>Mosque</i> ) | niku-ya     | ხორცის მაღაზია                                      |
| taiikukan              | სპორტდარბაზი             | pan-ya      | პურ-ფუნთუშეულის<br>მაღაზია                          |
| pūru                   | საცურაო აუზი             | sakana-ya   | თევზის მაღაზია                                      |
| kōen                   | პარკი                    | sakaya      | ღვინის მაღაზია                                      |
| taishikan              | საელჩო                   | yaoya       | ბოსტნეულის მაღაზია                                  |
| nyūkoku<br>-kanrikyoku | საიმიგრაციო ბიურო        | kissaten    | კაფე, სასადილო                                      |
|                        |                          | kombini     | სადღეღამისო მაღაზია<br>( <i>convenience store</i> ) |
|                        |                          | sūpā        | სუპერმარკეტი<br>( <i>supermarket</i> )              |
|                        |                          | depāto      | უნივერსალური<br>( <i>department store</i> )         |

## IV გრამატიკა bumpō

## 1. ა ga hoshii desu

ასეთი ფორმით გამოიხატება რაიმეს ქონის სურვილი. ის მსმენელის სურვილის შესატყობადაც შეიძლება გამოვიყენოთ. სურვილის ობიექტს დაერთვის თანდებული ga. თავის მხრივ, hoshii i-ზედსართავი სახელია.

watashi wa tomodachi ga hoshii desu. მე მეგობარი მინდა.

ima nani ga ichiban hoshii desuka. ახლა რა გინდათ ყველაზე ძალიან?

kuruma ga hoshii desu.

მანქანა მინდა.

kodomo ga hoshii desuka.

ბავშვი გინდა?

iie, hoshikunai.

არა, არ მინდა.

## 2. ზ masu-ფუქე tai desu

## 1) ზ masu-ფუქე tai desu

გამოხატავს მოსაუბრის სურვილს გააკეთოს რაიმე. აგრეთვე გამოიყენება იმის შესაკითხად, თუ რისი გაკეთება სურს მსმენელს. ამ წინადადებაში თანდებული o შეიძლება შეიცვალოს ga-თი. სხვა თანდებულების ga-თი შეცვლა არ შეიძლება. ზმნის tai-ფორმას განიხილავენ როგორც i-ზედსართავ სახელს.

watashi wa okinawa e ikitai desu. ოკინავაზე მინდა წავიდე.

watashi wa tempura o(ga) tabetai desu. ტემპურას ჭამა მინდა.

kōbe de nani o(ga) kaitai desu ka.

კობეში რისი ყიდვა გინდათ?

kutsu o(ga) kaitai desu.

ფეხსაცმელი მინდა ვიყიდო.

onaka ga itai desu kara, nanimo tabetakunai desu.

მუცელი მტკივა და არაფრის ჭამა არ მინდა.

*1. შენიშვნა:* არ შეიძლება მესამე პირის სურვილი გამოვხატოთ hoshii desu ან ~tai desu-ით.

*2. შენიშვნა:* არ შეიძლება hoshii desu ka ან ზ masu-ფორმა tai desu ka

გამოვიყენოთ ვინმესთვის რაიმეს შესათავაზებლად. მაგალითად თუ თქვენ გინდათ ვინმეს შესთავაზოთ ყავა ან დაპატიჟოთ ყავაზე, არ შეიძლება თქვათ kōhii ga hoshii desu ka. ან kōhii o nomitai desuka. უნდა თქვათ kōhii wa ikagadesu ka. ან kōhii o nomimasen ka.

3.

|              |                |                                 |
|--------------|----------------|---------------------------------|
| ა (ადგილი) e | ზ (masu-ფორმა) | ni ikimasu / kimasu / kaerimasu |
|              | ა              |                                 |

ეს ფორმა გამოხატავს რაიმე მიზნისათვის წასვლას მოსვლას ან დაბრუნებას. მიზანი შეიძლება გამოხატული იყოს ზმნის masu ფუძით ან არსებითი სახელით. მიზანს დაერთვის თანდებული ni.

mutsuheta e hinkari wo tabe ni ikimasu.

მცხეთაში ხინკალის საჭმელად მივდივარ.

kōbe e kaimono ni ikimasu.

კობეში მივდივარ საყიდლებზე.

nihon e bijutsu no benkyō ni kimashita.

მე იაპონიაში ხელოვნების შესასწავლად ჩამოვედი.

*შენი შენა:* ni-ს წინ შეგიძლიათ ჩასვით ისეთი არსებითი სახელები, როგორცაა კონცერტი, ფესტივალი და ა. შ. ამ შემთხვევაში მოსაუბრის მიზანია ნახოს კონცერტი ან ფესტივალი.

\*kyōto no o-matsuri ni ikimasu. ხვალ კიოტოს ღღესასწაულზე მივდივარ.

4. ა ni ზ / ა o ზ

როდესაც შემასმენლად გამოდის hairimasu ან norimasu ზმნა იმ ადგილის გამომხატველ სიტყვას, სადაც შედიხართ ან ჯდებით, დაერთვის თანდებული ni. როდესაც შემასმენლად გამოდის demasu, orimasu, იმ ადგილის გამომხატველ სიტყვას, საიდანაც გამოდიხართ ან ჩამოდიხართ თანდებული o.

ano kissaten ni hairimashō.

იმ კაფეში შევიდეთ.

7-ji ni uchi o demasu.

სახლიდან 7 საათზე გავდივარ.

5. dokoka / nanika

dokoka ნიშნავს “სადღაც”. nanika ნიშნავს “რადღაც”. წინადადებაში ამ სიტყვებთან ნაწილაკი e ან o შეიძლება ამოვარდეს.

fuyu-yasumi wa dokokā (e) ikimashitaka.

ზამთრის არდადეგებზე სადმე იყავით?

hai, ikimashita. დიახ, ვიყავი.

nodo ga kawakimashita kara, nanika (o) nomitai desu.

ყელი გამიშრა, რადღაც მინდა დავლიო.

6. go-chūmon

იმ არსებით სახელებს, რომლებიც მსმენელს ეკუთვნის ან მასთან არის დაკავშირებული, ემატება თავსართი go. ამით მოსაუბრე გამოხატავს თავის პატივისცემას მსმენელის მიმართ.

go chūmon wa?

რას შეგვიკვეთავთ? (თქვენი შეკვეთა?)

მეთოთხმეტე ბაკვეთილი  
DAI JŪYON KA

I სიტყვები და გამოთქმები kotoba to hyōgen

|           |                                    |
|-----------|------------------------------------|
| つける       | ჩართვა (რთავს)                     |
| けす        | გამორთვა (გამორთავს)               |
| あける       | გახსნა, გაღება (ხსნის, აღებს)      |
| しめる       | დახურვა (ხურავს)                   |
| いそぐ       | აჩქარება (ჩქარობს)                 |
| まつ        | ლოდინი (ელოდება)                   |
| とめる       | გაჩერება (აჩერებს)                 |
| まがる       | მოხვევა                            |
| [みぎへ~]    | [მარჯვნივ უხვევს]                  |
| もつ        | ხელში დაჭერა, ქონა (უჭირავს, აქვს) |
| とる        | აღება (იღებს)                      |
| てつだう      | დახმარება (ეხმარება)               |
| よぶ        | დაძახება (ეძახის)                  |
| はなす       | ლაპარაკი (ელაპარაკება)             |
| みせる       | ჩვენება (აჩვენებს)                 |
| おしえる      | თქმა, ახსნა                        |
| [じゅうしよを~] | [მისამართს ეუბნება, უხსნის]        |
| はじめる      | დაწყება (იწყებს)                   |
| ふる        | მოსვლა (წვიმის ან თოვლის შესახებ)  |
| [あめが~]    | [წვიმა მოდის]                      |
| しぬ        | სიკვდილი (კვდება)                  |
| コピーする     | (copy) ასლის გადაღება (ასლს იღებს) |
| エアコン      | (air conditioner) კონდიციონერი     |
| パスポート     | (passport) პასპორტი                |
| なまえ       | სახელი                             |
| じゅうしよ     | მისამართი                          |
| ちず        | რუქა                               |
| しお        | მარილი                             |
| さとう       | შაქარი                             |
| よみかた      | წაკითხვის წესი (როგორ იკითხება)    |
| ~かた       | ~კეთების წესი (~ როგორ კეთდება)    |
| ゆっくり      | ნელა, მშვიდად                      |
| すぐ        | მაშინვე                            |
| また        | კიდევ                              |
| あとで       | მოგვიანებით                        |

# 14

|        |                                                                   |
|--------|-------------------------------------------------------------------|
| もうすこし  | კიდევ ცოტა                                                        |
| もう ~   | კიდევ ~                                                           |
| いいですよ。 | კი, რა თქმა უნდა. (გამოხატავს თხოვნის შესრულებისთვის მზადყოფნას)  |
| さあ     | აბა (შორისდებული მოქმედების დაწყების წინ.)                        |
| あれ?    | ოჰ! (შორისდებული, რომელიც მოულოდნელობასა და გაოცებას გამოხატავს.) |

## かいわ

しんごうをみぎへまがってください。  
まっすぐ  
これでおねがいします。  
おつり

## დიალოგი

შუქნიშანთან მარჯვნივ შეუხვიეთ.  
პირდაპირ  
აქედან აიღეთ; ამით გადავიხდი.  
ხურდა

~~~~~

うめだ

(ოსაკას რაიონი)

II თარგმანი hon'yaku

წინადადების მოდელი bunkē

1. ცოტა მოიცადეთ, თუ შეიძლება.
2. ბატონი მილერი ახლა ტელეფონზე რეკავს.

წინადადების მაგალითები rēbun

1. აქ თქვენი სახელი და მისამართი დაწერეთ, თუ შეიძლება.
დიახ, გასაგებია.
2. ის პერანგი მაჩვენეთ, თუ შეიძლება.
დიახ, ინებეთ.
უფრო დიდი ზომის არ გაქვთ?
დიახ, ეს პერანგი თუ მოგწონთ?
3. უკაცრავად, თუ შეიძლება მითხარით, ეს იეროგლიფი როგორ იკითხება?
ეს "kakitome" არის.
4. ცხელა, არა? ფანჯარა გავადო?
დიახ, თუ შეიძლება.
5. სადგურზე დასახვედრად წამოვიდე?
არა, ნუ შეწუხდებით. ტაქსით მოვალ.
6. სად არის ბატონი სატო?
ახლა, ბატონ მაცუმოტოს ელაპარაკება კრებათა დარბაზში.
კარგი, მერე მოვალ.

დიალოგი kaiwa

უმედამდე მიმიყვანეთ, თუ შეიძლება

კარინა: უმედამდე, თუ შეიძლება.
მძღოლი: დიახ. (გასაგებია)

კარინა: უკაცრავად, იმ შუქნიშანთან მარჯვნივ შეუხვიეთ.
მძღოლი: მარჯვნივ, არა?
კარინა: დიახ.

მძღოლი: პირდაპირ?
კარინა: დიახ, პირდაპირ წადით.

კარინა: იმ ყვავილების მაღაზიის წინ გააჩერეთ, თუ შეიძლება.
მძღოლი: დიახ. 1 800 იენი.
კარინა: აქედან აიღეთ.
მძღოლი: 3 200 იენი ხურდაა. გმადლობთ.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

EKI საღბური

kippu-uriba	ბილეთების საღარო	tokkyū	სუპერ-ექსპრეს მატარებელი
jidō-kenbaiki	ბილეთების გამყიდველი ავტომატი	kyūkō	ექსპრეს მატარებელი
seisanki	ანგარიშსწორების მანქანა	kaisoku	ჩქარი მატარებელი
kaisatsuguchi	გასასვლელი ბარიერთ, სადაც ბილეთები მოწმდება.	junkyū	ჩვეულებრივზე ოდნავ ჩქარი მატარებელი
deguchi	გამოსასვლელი	futsū	ჩვეულებრივი მატარებელი (ყველა სადგურზე აჩერებს)
iriguchi	შესასვლელი	jikokuhyō	განრიგის ტაბლო
higashi-guchi	აღმოსავლეთ მხარეს გამოსასვლელი	~hatsu	მიემგზავრება ~დან
nishi-guchi	დასავლეთის მხარეს გამოსასვლელი	~chaku	ჩადის ~ში
minami-guchi	სამხრეთის მხარეს გამოსასვლელი	[tōkyō] iki	[ტოკიოში] მიმავალი
kita-guchi	ჩრდილოეთის მხარეს გამოსასვლელი	teikiken	სამგზავრო ბილეთი (განსაზღვრულ დროში მოქმედი, მრავალჯერადი)
chūō-guchi	ცენტრალური გამოსასვლელი	kaisūken	ბილეთების შეკვრა
		katamichi	ერთი გზა (მხოლოდ წასვლა)
(puratto)hōmu	ბაქანი (platform)	ōfuku	ორი გზა (წასვლა-წამოსვლა)
baiten	ჯიხური; პატარა მაღაზია რაიმე დაწესებულების შიგნით		
koin-rokkā	ბარგის შესანახი ავტომატური კამერა (coin locker)		
takushii-noriba	ტაქსის გაჩერება		
basu-tāminaru	ავტოსადგური (bus terminal)		
basutei	ავტობუსების გაჩერება		

IV გრამატიკა bumpō

1. ზმნის te ფორმა

te-ზე ან de-ზე დამთავრებულ ზმნის ფორმას te-ფორმა ეწოდება.

I ჯგუფის ზმნებისათვის te ფორმა სხვადასხვანაირად იწარმოება.

(1) ზმნებს, რომელთა დაბოლოება არის ku ან gu, ჩამოშორდება დაბოლოება და ფუძეს ემატება i. ku-ზე დამთავრებულ ზმნას ერთვის te, gu-ზე დამთავრებულ ზმნას კი – de.
kaku → kaite, oyogu → oyoide.

(2) ზმნებს, რომელთა დაბოლოება არის bu, mu ან nu, ჩამოშორდება დაბოლოება, ფუძეს ემატება n და დაერთვის de.
asobu → asonde, nomu → nonde, shinu → shinde

(3) ზმნებს, რომელთა დაბოლოება არის u, tsu ან ru ჩამოშორდება დაბოლოება, ფუძეს ემატება პატარა tsu და ერთვის te. ფუძეში გაჩენილი პატარა tsu აორმაგებს მის მომდევნო t-ს.
kau → katte, matsu → matte, kaeru → kaette

(4) ზმნებს, რომელთა დაბოლოებაც არის su, ჩამოშორდება დაბოლოება და მის masu ფუძეს დაერთვის te.
hanasu → hanashite

II ჯგუფის ზმნებს ჩამოშორდება დაბოლოება და მათ masu ფუძეს დაერთვის te. miru → mite, oshieru → oshiete

III ჯგუფის ზმნებსაც ასევე ჩამოშორდება დაბოლოება და მის masu ფუძეს დაემატება te. suru → shite, kuru → kite

შენიშვნა: გამონაკლისია iku ზმნა, რომლის te-ფორმაც itte.

2. ზ (te-ფორმა) kudasai

ეს მოდელი გამოიყენება მაშინ, როცა მსმენელს ვთხოვთ გააკეთოს რაიმე. თხოვნა თავაზიანია, მაგრამ არ გამოიყენება უაღრესად საპატივცემულო პირის მიმართ.

sumimasen ga, kono kanji no yomi-kata o oshiete kudasai.

უკაცრავად, თუ შეიძლება მითხარით, ეს იეროგლიფი როგორ იკითხება?

koko ni jūsho to namae o kaite kudasai.

აქ თქვენი სახელი და მისამართი დაწერეთ, თუ შეიძლება.

zahi asobi ni kite kudasai.

აუცილებლად მოდით ჩემთან სტუმრად.

ზ (te-ფორმა) kudasai მოდელის მიხედვით აგებულ წინადადებას ხშირად დასაწყისში ემატება sumimasen ga, რაც მორიდების ელფერს აძლევს მას.

3. ზ (te-ფორმა) imasu

ეს ფორმა გვიჩვენებს, რომ მოქმედება ახლა მიმდინარეობს.
 mirā-san wa ima denwa o kakete imasu. ახლა მიღერი ტელეფონზე რეკავს.
 ima ame ga futte imasu ka. ახლა წვიმს?
 hai, futte imasu. დიახ, წვიმს.
 iie, futte imasen. არა, არ წვიმს.

4. ზ (masu-ფორმა) mashō ka

ამ მოდელის მიხედვით აგებულ წინადადებას ვიყენებთ, მაშინ როდესაც გვინდა მსმენელს ჩვენი მხრიდან შევთავაზოთ რაიმეს გაკეთება. ამ მოდელში, აგრეთვე, ჩანს პატივისცემა მსმენელის მიმართ.

ashita mo kimashō ka. ხვალაც მოვიდე?
 ē, 10-ji ni kite kudasai. დიახ, 10 საათზე მოდიოთ.
 kasa o kashimashō ka. ქოლგა გათხოვოთ?
 sumimasen. onegai-shimasu. დიახ, თუ შეიძლება.
 nimotsu o mochimashō ka. ბარგის წაღებაში მოგეხმაროთ?
 iie, kekkō desu. არა, ნუ შეწუხდებით.

5. ♯1 ga, ♯2

მე-8 გაკვეთილში უკვე ისწავლეთ კავშირი ga მნიშვნელობით “მაგრამ”. ისეთი შესავალი სიტყვების გამოყენებისას, როგორც არის shitsurei desu ga ან sumimasen ga ეს კავშირი არ ითარგმნება.

shitsurei desu ga, o namae wa?

უკაცრავად, (მაგრამ) თქვენი სახელი.

sumimasen ga, shio o totte kudasai.

უკაცრავად, (მაგრამ) მარილი მომაწოდეთ, თუ შეიძლება.

6. ა ga ზ

ბუნების მოვლენების აღმნიშვნელ ზმნებთან სუბიექტი აღინიშნება თანდებულთა ga.

ame ga futte imasu. წვიმა მოდის.

მეთხუთმეტი ბაკვეთილი
DAI JÜGO KA

I სიტყვები და გამოთქმები kotoba to hyōgen

たつ	ფეხზე დგომა (დგება)
すわる	ჯდომა (ჯდება)
つかう	ხმარება, გამოყენება (იყენებს, ხმარობს)
おく	დადება (დებს)
つくる	გაკეთება, წარმოება (აკეთებს, აწარმოებს)
うる	გაყიდვა (ყიდის)
しる	გაგება, შეტყობა (გებულობს, იტყობს)
すむ	ცხოვრება (ცხოვრობს)
けんきゆうする	კვლევა, შესწავლა (იკვლევს, სწავლობს)
しって いる	ცოდნა (იცის)
すんで いる	ცხოვრება
[おおさかに~]	[ოსაკაში ცხოვრობს]
しりょう	მასალები, მონაცემები
カタログ	(catalogue) კატალოგი
じこくひょう	განრიგის ტაბლო
ふく	ჩასაცმელი
せいひん	საქონელი
ソフト	(software) პროგრამული პროდუქტი, სოფტი
せんもん	სპეციალობა
はいしゃ	კბილის ექიმი
とこや	საპარიკმახერო
プレイガイド	ცნობათა ბიურო (თეატრების, კონცერტების და ა.შ. ბილეთებისათვის)
どくしん	მარტოხელა, დაუქორწინებელი

かいわ	დიალოგი
とくに	განსაკუთრებით
おもいだします	მასხენდება
ごかく	თქვენი ოჯახი
いらっしゃいます	ბრძანდება (ის ზმნის თავაზიანი ფორმა)
こうこう	სკოლის დამამთავრებელი კლასები

にっぽんばし (მაღაზიების რაიონი ოსაკაში)

II თარგმანი hon'yaku

წინადადების მოდელი bunkē

1. შეგიძლიათ გადაიღოთ სურათი.
2. ბატონ სანტოსს პერსონალური კომპიუტერი აქვს.

წინადადების მაგალითები rēbun

1. შეიძლება ეს კატალოგი ავიღო?
დიახ, რა თქმა უნდა. ინებეთ.
2. შეიძლება ეს ლექსიკონი ვითხოვო?
უკაცრავად, ახლა მას ვიყენებ.
3. აქ თამაში არ შეიძლება.
გასაგებია.
4. მერიის ტელეფონი იცით?
არა, არ ვიცი.
5. სად ცხოვრობს ქალბატონი მარია?
ოსაკაში ცხოვრობს.
6. ბატონი ვანი უცოლოა?
არა, დაქორწინებულია.
7. რაზე მუშაობთ?
მასწავლებელი ვარ. ფუჯის უნივერსიტეტში ვასწავლი.
თქვენი სპეციალობა?
იაპონური ხელოვნება.

დიალოგი kaiwa

მომიყვით თქვენი ოჯახის შესახებ

- მიღერი: დღევანდელი ფილმი კარგი იყო, არა?
კიმურა: დიახ. მამა იყო განსაკუთრებით კარგი.
- მიღერი: დიახ. მე ოჯახი გამახსენდა.
კიმურა: მართლა? ბატონო მიღერი, მომიყვით თქვენი ოჯახის შესახებ.
- მიღერი: მშობლები და ერთი და მყავს.
კიმურა: სად არიან ახლა?
მიღერი: მშობლები ნიუ-იორკის ახლოს ცხოვრობენ.
და ლონდონში ცხოვრობს.
- კიმურა: ქალბატონო კიმურა, თქვენი ოჯახი?
სამნი ვართ. მამა ბანკში მუშაობს, დედა სკოლაში ინგლისურს ასწავლის.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია
SHOKUGYŌ საქმიანობა

<p>kaiashain ფარმის თანამშრომელი</p> 	<p>kōmuin სახელმწიფო მოსახლე</p> 	<p>ekiin სადგურის ზუღამსახურელი</p> 	<p>ginkōin ბანკის თანამშრომელი</p> 	<p>yūbinkyokuin ფოსტალიონი</p> 
<p>ten'in ცამყიდველი</p> 	<p>chōnishi მზარეული</p> 	<p>riyōshi biyōshi პარიკამახური კოსმეტოლოგი</p> 	<p>kyōshi მასწავლებელი</p> 	<p>bengoshi ადვოკატი</p> 
<p>kenkyūsha მკვლევარი</p> 	<p>isha kangofu ექიმი ექთანა</p> 	<p>untenshu მძღოლი</p> 	<p>keisatsukan პოლიციელი</p> 	<p>gaikōkan ლიბლომანტი</p> 
<p>seijika პოლიტიკოსი</p> 	<p>gaka მხატვარი</p> 	<p>sakka მწერალი</p> 	<p>ongakuka მუსიკოსი</p> 	<p>kenchikuka არქიტექტორი</p> 
<p>erijinia ინჟინერი</p> 	<p>dezainā დისაინერი</p> 	<p>jānarisuto ფურნალისტი</p> 	<p>kashu haiyū მომღერალი მხანობი</p> 	<p>supōtsu-senshu სპორტსმენი</p> 

IV გრამატიკა bumpō

1. ზ (te-ფორმა) mo ii desu

ამ მოდელის მიხედვით აგებული წინადადებით მსმენელს ნებას რთავენ გააკეთოს რაიმე.

shashin o totte mo ii desu. შეგიძლიათ გადაიღოთ სურათი.

ნებართვის მისაღებად გამოიყენება ამავე მოდელის კითხვითი წინადადება.

tabako o sutte mo ii desu ka. შეიძლება მოვწიო?

ამდგვარ კითხვაზე პასუხი შემდეგნაირად გაიცემა.

kono katarogu o moratte mo ii desu ka. შეიძლება ეს კატალოგი ავიღო?

ē, ii desu yo. dōzo. დიას, რა თქმა უნდა. ინებეთ.

sumimasen. chotto. უკაცრავად, მაგრამ არ შემიძლია.

მიაქციეთ ყურადღება, რომ უარყოფითი პასუხი ბუნდოვან შთაბეჭდილებას ტოვებს, ვინაიდან პირდაპირ უარის თქმა არ არის მიღებული.

2. ზ (te-ფორმა) wa ikemasen

ეს მოდელი გამოიყენება მაშინ, როცა მსმენელს რაიმე ეკრძალება.

koko de tabako o sutte wa ikemasen. kin'en desu kara.

აქ არ მოწიოთ, რადგან აქ არ ეწვეიან.

ნებართვაზე მკაცრი უარის შემთხვევაში პასუხი იქნება iie, ikemasen. თუმცა,

ასეთი პასუხი არ შეიძლება გავცეთ ასაკით უფროს ადამიანს.

sensei, koko de asonde mo ii desu ka.

მასწავლებელო, შეიძლება აქ ვითამაშო?

iie, ikemasen.

არა, არ შეიძლება.

3. ზ (te-ფორმა) imasu

გარდა მე-14 გაკვეთილში მოცემული მნიშვნელობისა V (te-ფორმა) imasu გამოხატავს რაიმე განგრძობით მდგომარეობას, რომელიც არის შედეგი წარსულში შესრულებული მოქმედებისა.

watashi wa kekkon-shite imasu. მე დაქორწინებული ვარ.

watashi wa tanaka-san o shitte imasu. მე ვიცნობ ბატონ ტანაკას.

watashi wa oosaka ni sundeimasu. მე ოსაკაში ვცხოვრობ.

watashi wa kamera o motte imasu. მე მაქვს ფოტოაპარატი.

o motte imasu ნიშნავს “ხელში მიჭირავს”, “თან მაქვს” ან “ეფლობ”.

4. ზ (te-ფორმა) imasu

ზ (te-ფორმა) imasu აგრეთვე გამოიყენება იმის სათქმელად, რომ ზმნით გამოსატული მოქმედება მეორდება. ასევე შეიძლება ამ ფორმით გამოვხატოთ, თუ რა სამუშაოს ასრულებს ვინმე. კითხვა “o-shigoto wa nan desu ka”-ს პასუხი ზ (te-ფორმა) imasu ფორმით გაეცემა.

IMC wa konpyūtā-sofuto o tsukutte imasu.

IMC კომპიუტერის პროგრამებს აკეთებს.

sūpā de firumu o utte imasu.

სუპერმარკეტში ფირი იყიდება.

mirā-san wa IMC de hataraitemasu.

მიღერი IMC-ში მუშაობს.

imōto wa daigaku de benkyō-shite imasu.

ჩემი უმცროსი და უნივერსიტეტში სწავლობს.

5. shirimasen

shitte imasu-ის უარყოფითი ფორმა არის shirimasen.

shiyakusho no denwa-bangō o shitte imasu ka.

მერიის ტელეფონის ნომერი იცით?

hai, shitte imasu.

დიახ, ვიცი.

iie, shirimasen.

არა, არ ვიცი.

მეთექვსმეტე ბაკვეთილი
DAI JÜROKKA

I სიტყვები და გამოთქმები kotoba to hyōgen

のる	ჩაჯდომა
[でんしゃに~]	[მატარებელში ჯდება]
おりる	ჩამოსვლა
[でんしゃを~]	[მატარებლიდან ჩამოდის]
のりかえる	გადაჯდომა (გადაჯდება) (მატარებლის ან სხვა ტრანსპორტის შეცვლა)
あびる	გადავლება
[シャワーを~]	[წყლის გადავლება; შხაპის მიღება]
いれる	ჩადება (დებს)
だす	გაგზავნა (აგზავნის)
はいる	შესვლა
[だいがくに~]	[ინსტიტუტში შედის]
でる	დამთავრება
[だいがくを~]	[ინსტიტუტს ამთავრებს]
やめる	თავის დანებება, მიტოვება
[かいしゃを~]	[ფირმას თავს ანებებს]
おす	დაჭერა, მიწოლა (აჭერს, აწვება)
わかい	ახალგაზრდა
ながい	გრძელი
みじかい	მოკლე
あかるい	ნათელი
くらい	ბნელი
せが たかい	მაღალი, ტანადი (ადამიანზე)
あたまが いい	საზრიანი, ჭკვიანი
からだ	სხეული
あたま	თავი
かみ	თმა
かお	სახე
め	თვალი
みみ	ყური
くち	პირი
は	კბილი
おなか	მუცელი
あし	ფეხი
サービス	(service) მომსახურება

ジョギング	(jogging) ძუნძუნულით სირბილი (~を する ძუნძუნულით დარბის)
シャワー	(shower) შხაპი
みどり	მწვანე
[お]てら	ბუდისტური ტაძარი
じんじゃ	სინტოისტური ტაძარი
りゅうがくせい	უცხოელი სტუდენტი
-ばん	ნომერი -
どうやって	როგორ, რანაირად
どの~	რომელი ~
[いいえ]	[არა.] ჯერ კიდევ დიდი დროა საჭირო; ჯერ სად არის.
まだまだです。	

かいわ	დიალოგი
おひきだしですか	გამოტანა გინდათ (ფულის)?
まず	პირველ რიგში, უპირველესად
キャッシュカード	(cash card) ნაღდი ფულის მაგნიტური ბარათი
あんしょう	საიდუმლო ნომერი (კოდი)
ばんごう	
つぎに	შემდეგ
きんがく	თანხა
かくにん	დარწმუნება, შემოწმება (~する ამოწმებს, რწმუნდება)
ボタン	(button) ღილაკი

JR	(Japanese Railway) იაპონიის რკინიგზა
アジア	(Asia) აზია
バンドナ	(Bandung) ბანდუნგი (ინდონეზიაში)
ベラクルス	(Veracruz) ვერაკრუსი (მექსიკაში)
フランケン	(Franken) ფრანკენი (გერმანიაში)
ベトナム	(Vietnam) ვიეტნამი
フエ	(Hue) ჰუე (ვიეტნამში)
だいがくまえ	(ავტობუსის გაჩერების სახელი)

II თარგმანი hon'yaku

წინადადების მოდელი bunkē

1. დილით ძუნძულით დავრბივარ, შხაპს ვიღებ და ფირმაში მივდივარ.
2. კონცერტის დამთავრების შემდეგ რესტორანში ვისადილე.
3. ოსაკას საჭმელები გემრიელია.
4. ეს პერსონალური კომპიუტერი მსუბუქი და მოხერხებულია.

წინადადების მაგალითები rēbun

1. გუშინ რა გააკეთეთ?
ბიბლიოთეკაში წავედი, წიგნი გამოვიტანე, შემდეგ მეგობარს შევხვდი.
2. ინსტიტუტამდე როგორ მიდიხართ?
კიოტოს სადგურში 16 ნომერ ავტობუსში ვჯდები და “დაიგაკუმაე“-ზე ჩამოვდივარ.
3. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რას გააკეთებთ?
მამაჩემის ფირმაში ვიმუშავებ.
4. როგორი კაცია სანტოსი?
მაღალი კაცია, შავი თმით.
5. როგორი ადგილია ნარა?
წყნარი და ღამაზი ადგილია.
6. ის ვინ არის?
კარინაა. ინდონეზიიდან არის, ფუჯის უნივერსიტეტის უცხოელი სტუდენტია.

დიალოგი kaiwa

თუ შეიძლება ამიხსენით, როგორ ვისარგებლო ამ აპარატით?

მარია: უკაცრავად, თუ შეიძლება ამიხსენით, როგორ ვისარგებლო ამ აპარატით.

ბანკის თანამშრომელი: ფულის გამოტანა გინდათ?

მარია: დიახ.

ბანკის თანამშრომელი: კარგით. პირველ რიგში ამას დააჭირეთ.

მარია: დიახ.

ბანკის თანამშრომელი: ნაღდი ფულის მაგნიტური ბარათი გაქვთ?

მარია: დიახ, აი.

ბანკის თანამშრომელი: ეგ აქ ჩადეთ და აკრიფეთ საიდუმლო კოდი (ნომერი). შემდეგ თანხა აკრიფეთ.

მარია: 50 ათასი იენი, 5. . .

ბანკის თანამშრომელი: ამ “მან“ “ენ“-ს ვაჭერთ? შემდეგ ამ “კაკუნინ“ დილაკს დააჭირეთ.

მარია: დიახ. დიდი მადლობა.

III დამატებითი სიტყვები და ინფორმაცია

ATM NO TSUKAI-KATA

როგორ ვისარგებლოთ ბანკომატით

o azuke ire	お預け入れ	ფულის შეტანა ანგარიშზე
o-furikomi	お振込み	ფულის გადახდა, ჩარიცხვა ვინმეს ანგარიშზე
o-furikae	お振り替え	გადარიცხვა ვინმეს ანგარიშზე
o-hikidashi	お引き出し	ფულის გამოტანა
tsūchō-kinyū	通帳記入	საბანკო წიგნაკში ჩანაწერის გაკეთება
zandaka shōkai	残高照会	ინფორმაცია დარჩენილი თანხის შესახებ

1. დააჭირეთ ეკრანზე ღილაკს, იქ სადაც o-hikidashi წერია. ავტომატი მოგთხოვთ ბარათს – kado o irete kudasai.
2. შეაღებთ ბარათი ჭრილში, რომლის ქვეშ წერია kado.
3. ეკრანზე გამოსული ციფრების ცხრილზე აკრიფეთ თქვენი საიდუმლო ნომერი (კოდი). ეკრანზე გამოსახულება შეიცვლება.
4. ამჯერად აკრიფეთ გამოსატანი თანხა და დააჭირეთ ეკრანზე en ღილაკს.
5. თუ ეკრანზე ყველა მონაცემი სწორია, დააჭირეთ kakunin ღილაკს. ავტომატი გთხოვთ დაელოდოთ – shō-shō o-machi kudasai.
6. აიღეთ ფული და ბარათი.

kado	en	kakunin
カード	円	確認

IV გრამატიკა bumpō

1.	▽1	▽2	...	▽n
	~ ზ1 (te ფორმა)	~ ზ2 (te ფორმა)	და ა. შ.	ზn

თუ რამდენიმე მოქმედება ხდება ერთმანეთის მიყოლებით, ამ მოქმედების გამომხატველი ზმნები ლებულობენ te ფორმას და განლაგდებიან იმ თანმიმდევრობით, რომლითაც მოქმედებები ხდება. მხოლოდ ბოლოს შესრულებული მოქმედების აღმნიშვნელი ზმნა ლებულობს დასრულებულ ფორმას და მისი დრო განსაზღვრავს მის წინ შესრულებულ ყველა მოქმედებათა დროს.

asa jōgingu o shite, shawā o abite, kaisha e ikimasu.

დილით ძუნძულით დავრბივარ, შხაპს ვღებულობ და ფირმაში მივდივარ.

batumi e itte, umi de oyoide, jūsu o nomimashita.

წაველი ბათუმში, ვიცურავე ზღვაში და წვენი დაველიე.

2.	▽1	▽2
	i-ზდ.სხ. (i-ს გარეშე) kute,	~

როდესაც წინადადება, რომლის შემასმენელი ნაწარმოებია i-ზედსართავი სახელით, უკავშირდება სხვა წინადადებას, i-ზედსართავ სახელს ჩამოშორდება i და დაემატება kute.

ōkii → ōki-kute

chiisai → chiisa-kute

ii → yo-kute (გამონაკლისი)

mirā-san wa wakakute, genki desu.

მიღერი ახალგაზრდაა და სიცოცხლით სავსე.

kinō wa tenki ga yokute, atsukatta desu.

გუშინ კარგი ამინდი იყო და ცხელია.

3.

~ ა	de,	~
~na ზდ.სხ. (na-ს გარეშე)		~

როდესაც წინადადება, რომლის შემასმენელი ნაწარმოებია არსებითი სახელით ან na-ზედსართავი სახელით, უკავშირდება სხვა წინადადებას, desu გადაიქცევა de-დ.

karina san wa indoneshia jin de, kyōto-daigaku no ryūgakusei desu.

კარინა ინდონეზიიდან არის და კიოტოს უნივერსიტეტის უცხოელი სტუდენტია.

mirā-san wa hansamu de shinsetsu desu.

მიღერი კარგი შესახედია და თავაზიანი.

nara wa shizuka de, kireina machi desu.

ნარა წყნარი და ლამაზი ადგილია.

1. **შენიშვნა:** წინადადების შეკავშირების ამ წესით განსხვავებული თემის (ქვემდებარის) მქონე წინადადებებიც შეიძლება დავუკავშიროთ ერთმანეთს.
karina san wa gakusei de, maria san wa shufu desu.

კარინა სტუდენტია, მარია კი – დიასახლისი.

2. **შენიშვნა:** ამ წესით ვერ დავუკავშირებთ ერთმანეთს საპირისპირო აზრის მქონე წინადადებებს.

X kono heya wa semakute, kirei desu.

O kono heya wa semai desu ga, kirei desu.

ეს ოთახი პატარაა, მაგრამ ლამაზი.

4.	▽1 ~ ზ1 (te ფორმა) kara,	▽2 ~ ზ2
----	-----------------------------	------------

